განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება**
„მევენახეობა და ენოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება**
სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
26.06.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი
17.08.2020

თბილისი
2020

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 211349192 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | მევენახეობა და ენოლოგია |
| განათლების საფეხური | მე-2 საფეხური, მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | მევენახეობა და მეღვინეობის მაგისტრი 0888 |
| სწავლების ენა | ინგლისური |
| კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ანა ხითარიშვილი, შპს ვიტისის თანადამფუძნებელი (მევენახეობა მეღვინეობის სპეციალისტი) საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ოლანი გოცირიძე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | სოფიო შარაბაძე , ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

### 1. ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 'მევენახეობა და ენოლოგიის' ინგლისურენოვან სამაგისტრო პოგრამას, რომელმაც პირველი აკრედიტაცია 2015 წელს გაიარა (2015 წლის 15 ივლისი #63 გადაწყვეტილება). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 29 იანვრის ბრძანება #07/5 მიხედვით საგანამანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში შევიდა ცვლილებები და გაიზარდა დამოუკიდებელი მუშაობის საათები. ასევე შეიცვალა სტუ-ის კრედიტების გაანგარიშების წესი და 27 საათის ნაცვლად გახდა 25.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძნებასთან "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ" შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამაში მოხდა მისანიჭებელი კვალიფიკაციის დაკორექტირება, იყო "აგრარული მეცნიერების მაგისტრი" გახდა "მევენახეობისა და მეღვინეობის მაგისტრი".

საგანმანათლებლო პროგრამებში დაკორექტირდა სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები, სილაბუსებში არსებული დაშვების წინაპირობები, დაემატა სასწავლო პროგრამა, ასევე სასწავლო პროგრამებში (სილაბუსებში) შეიცვალა ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა.

მევენახეობა და მეღვინეობა ქვეყანაში ერთ-ერთ წამყვან ადგილს იკავებს, ღვინის როგორც ტექნოლოგიების, ასევე მეცნიერული მიმართულების ბაზარი წარმოადგენს სწრაფად განვითარებად მიმართულებას, რაც ითვალისწინებს მაღალი ხარისხის ღვინოების წარმოებას. სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფოს სტრატეგიული გეგმის მიხედვით მნიშვნელოვანია მაღალხარისხოვანი ღვინოების წარმოება და ასევე ქართული ღვინის გაყიდვების მსოფლიო ბაზრების გაფართოება. ამისათვის სახელმწიფოს ინტერესშია ჰყავდეს საერთაშორისო სტანდარტებზე ორიენტირებული კვალიფიციური კადრი, რისთვისაც მნიშვნელოვანია ისეთი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება, როგორიცაა „მევენახეობა და მეღვინეობის" სამაგისტრო პროგრამა (0811.3.1).

პროგრამის მიზანია აღზარდოს ქართული მევენახეობა-მეღვინეობის დარგის სპეციალისტები, შემდგომში დარგში სამეცნიერო თუ პრაქტიკული განვითარების კუთხით. პროგრამის მიზანია მოამზადოს - საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, არსებული და ინოვაციური მეთოდების გამოყენების უნარის მქონე შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური კადრი, რომელიც შეძლებს მართოს ღვინის წარმოების სრული ჯაჭვი - ყურძნის მოყვანა გაშენებიდან საბოლოო მომხმარებლამდე.

პროგრამის მიზანია ასევე კურსდამთავრებული სრულყოფილად ფლობდეს მევენახეობა და ენოლოგიის ძირითად საკითხებს, როგორიცაა: ვენახების გაშენება, ამპელოგრაფია, ვაზის სელექცია, სანერგე მეურნეობა, ვაზის მავნებლების და დაავადებების მართვა, სხვადასხვა მევენახეობის მიმართულებები; ასევე ენოქიმია, მიკრობიოლოგია, მეღვინეობის ტექნოლოგია, ღვინის დაგემოვნება, მსოფლიო ღვინის ბაზრების ბოლოდროინდელი ტენდენციები, ღვინის ტურიზმი და სხვ.

პროგრამის მიზნები მიიღწევა მეტწილად არსებული საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვითა და უნივერსიტეტში არსებული მატერიალური თუ ადამიანური რესურსების გამოყენებით.

## 2. აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სააკრედიტაციო ვიზიტი განხორციელდა 26 ივნისს სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ვიზიტის შემოწმება განახორციელეს ექსპერტთა 3 კაციანმა ჯგუფმა, (ანა ხითარიშვილი, ოლანი გოცირიძე, სოფიო შარაბიძე). ვიზიტის დროს უნივერსიტეტში იმყოფებოდა ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პერსონალი; ასევე ჩატარდა სტუდენტებთან, უნივერსიტეტის პერსონალთან, თუ პროფესორ-მასწავლებლებთან ონლაინ და ცოცხალი ინტერვიუები. ვიზიტის დროს შემოწმდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ - საგანმანათლებლო რესურსები, აუდიოტორიები, საკონფერენციო დარბაზები, ლაბორატორიები, სადეგუსტაციო ოთახი.

ვიზიტის დროს შემოწმდა პროგრამის შინაარსი და ცალკეულ სასწავლო დისციპლინებზე დაშვების წინაპირობები, ასევე ინტერვიუ ჩატარდა კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. ვიზიტის დროსვე შემოწმდა სამაგისტრო ნაშრომები.

## 3. საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

1 სტანდარტი  მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2 სტანდარტი - მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3 სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4 სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5 სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

## 4. რეკომენდაციები

- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტი უფრო დეტალურად უნდა იყოს გაწერილი მეტი ვიზუალიზაციისათვის, რთული რუქაა მოცემული და დეტალურად რომელი სასწავლო კურსის მიზანი რომელ შედეგებზე გადის რთულად აღსაქმელია. შედეგები შეძლებისდაგვარად უნდა დაკონკრეტდეს. ასევე შედეგების შეფასებები მოცემულია ციფრებით 1-2-3 თუმცა დოკუმენტს არ ახლავს განმარტება რომელი ციფრი რას მიუთითებს, განმარტება მხოლოდ გამოგზავნილი იქნა არგუმენტირებული მოსაზრებებში, მეტად უნდა დაკონკეტდეს ესა თუ ის ციფრი რატომ იქნა მინიჭებული.  ზოგადად მევენახეობა მეღვინეობა ერთმანეთთან კავშირშია, თუმცა შესაძლებელი კონკრეტული შედეგების გამოყოფა და დაკონკრეტება. ასევე სწავლის შედეგების ანალიზიც არასწორად არის წარმოდგენილი

და ცალკეული სასწავლო კურსისათვის არარელევანტურია მოცემული სწავლის შედეგები. იხილეთ დეტალური რეკომენდაციები 1.2 ნაწილში.

- გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა არის სამაგისტრო, აუცილებელია ისეთი საგნის სწავლება, რომელიც გააუმჯობესებს უნივერსიტეტში არსებული სამაგისტრო ნამუშევრების წერის ხარისხს, ასეთია აკადემიური წერა/ პროექტის წერა, კვლევის მეთოდოლოგია; სადაც დეტალურად იქნება განხილული სამაგისტრო ნამუშევრის სტრუქტურის და კვლევის მეთოდოლოგიის სწორად დაგეგმვის და შერჩევის თანამედროვე სტანდარტები, განსაკუთრებით ეს ეხება აგრარულ მეცნიერებაში დაგეგმილ კვლევებს, რომლისთვისაც სპეციალური სასწავლო კურსები იქმნება საერთაშორისო უნივერსიტეტებში, რათა სწორად მოხდეს კვლევის დაგეგმვა და ოპტიმალურ დროში მოხდეს შედეგების მიღწევა.
- მევენახეობაში საველე პრაქტიკისათვის და საწარმო პრაქტიკა ღვინის ქარხანაში სასწავლო კურსებში პრაქტიკის თავისუფალი დრო საკმაოდ დიდია და არ არის დაკონკრეტებული რაზე იწერება თავისუფალი დრო.
- გასათვალისწინებელია სილაბუსებში გარკვეული სახეცვლილება, ასევე ადგილი აქვს გარკვეული სასწავლო კურსების საკითხების გადაფარვას. ასევე ზოგიერთ სილაბუსებში გასასწორებელია მოცემული ლიტერატურა ტექნიკურად და ასევე სტილისტურად ყველა მოცემული ლიტერატურა უნდა იყოს ერთგვაროვანი. დეტალური რეკომენდაციები წარმოდგენილია 2.3. რეკომენდაციების ნაწილში ცალკეული მოდულების მიხედვით.

- ასევე რადგანაც არსებობს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია და ზოგადად ქართული მეღვინეობა მევენახეობის შესახებ ინტერესი მსოფლიოში, აუცილებელია ცალკე საგნად იყოს გაწერილი ქვევრის ღვინის ისტორია, ქვევრის ღვინის სპეციფიკა. სასურველია მოწვეული პრაქტიკოსი ლექტორების მიერ ჩატარებული ლექცია/სემინარებიც ამ საკითხის ირგვლივ. ძირითადი უცხოელი სტუდენტების ინტერესი საქართველოს შესახებ არის ქვევრის ღვინო და ქართული ჯიშები, რაც აუცილებელია რომ შეტანილი იქნას სასწავლო საგნებში უფრო ფართოდ და ასევე სასურველია რომ მეტი სამეცნიერო ნაშრომი გაიწეროს მსგავს თემებზე, რადგანაც მსგავსი თემატიკა აქტუალურია ქართული მევენახეობა - მეღვინეობისათვის. არგუმენტიბული მოსაზრების თანახმად სულ 5 სალექციო თემაში ხდება ქართული მევენახეობა მეღვინეობის ფართოდ წარმოდგენა.
- სასწავლო პროგრამისთვის მომზადდეს ბიუჯეტის სრუყოფილი დოკუმენტი.

## 5. რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, რომ მიზნებში კარგად იყოს ასახული, რომ პროგრამა არის სამაგისტო და აუცილებლად უნდა მოითხოვებოდეს სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ზრდა და განვითარება, რაც ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკასა და სტრატეგიებში კარგად არის ჩამოყალიბებული და მსგავსად გადატანილი უნდა იყოს მიზნებში.

პროგრამის განვითარებისთვის სასურველია მოხდეს უნივერსიტეტსა და საქართველოში არსებულ მეწარმეებს შორის მჭიდრო კავშირის დამყარება, რაც ითვალისწინებს საკვლევი საკითხების წინასწარ შემუშავებას და ბაზარზე არსებულ მოთხოვნებზე მორგებას.

ასევე საუკეთესო შედეგები მიიღება თუ სწავლების პროცესში მოხდება ჯგუფური სამუშაოების ჩატარება, რაც მოიცავს რომელიმე საწარმოს შემოწმებას/აუდიტს; მსგავსი პრაქტიკა დანერგილია ბევრ მევენახეობა/მეღვინეობის უნივერსიტეტში, როგორიცაა (Supagro, Bordeaux Sciencee Agro და სხვ).

პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფისათვის სასურველია, გაიზარდოს პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა; არსებული პროფესორთა რაოდენობა მცირეა და ეტაპობივრად უნდა მოხდეს მათი ზრდა. პროგრამის განხორციელებაში აკადემიური პერსონალიდან ჩართულნი არიან მხოლოდ პროფესორები, რომლებიც ახორციელებენ როგორც სალექციო, ისე პრაქტიკულ/ლაბორატორიულ და სასემინარო კომპონენტს. სასურველია, პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი იყვნენ აგრეთვე უფრო დაბალი აკადემიური ხარისხის მქონე პირები (ასოცირებული პროფესორი/ასისტენტ-პროფესორი/დოქტორანტი და ა.შ.)

აუცილებელია ინგლისური და ქართული ვარიანტების სილაბუსებში არსებული საკითხების სახელწოდებების და აღწერილი საგნის საკითხების ჩამონათვალი ერთმანეთს ემთხვეოდეს შინაარსობივრად.

სამაგისტრო ნაშრომები საჭიროებს დახვეწას, არსებული ნაშრომები სასურველია გასწორდეს საერთაშორისო სამაგისტრო ნაშრომების სტილისტიკის მიხედვით და შესაბამისად დაიხვეწოს. რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომში, კვლევის მეთოდოლოგიის თანმდევ ნაწილში „შედეგები“ განცალკევებულად, უფრო ნათლად ჩამოყალიბდეს და შემდგომ, ცალკე თავად, მოხდეს მათი უფრო სიღრმისეული ინტერპრეტაცია დისკუსიის სახით მანამდე არსებული მიღწევების ფონზე და ბოლოს აქვე წარმოდგენილი იქნას დასკვნები (და საჭიროების შემთხვევაში - რეკომენდაციები).

<u>მაგალითად თეზისის სტრუქტურის მოთხოვნებია:</u>
https://www.hs-geisenheim.de/fileadmin/pruefungsverwaltung/Master-Studiengaenge/ViniferaEuromaster/ThesisStyleGuide1.pdf
https://www.unk.edu/academics/gradstudies/admissions/grad-files/Grad%20Files/ThesisGdlnsFinal08.pdf

თვითშეფასების ანალიზში დეტალურად უნდა იყოს ჩამოთვლილი საერთაშორისო, თუ ადგილობრივი კონფერენციების, თუ სემინარების სახელები და ჩატარების დროები. სასურველია, თვითშეფასებაში აღწერილი იყოს კონკრეტული აქტივობები და მიღწევები, რომლებსაც სტუ და შესაბამისი ფაკულტეტი ახორციელებს აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული ზრდის ხელშეწყობისათვის (ამ მიზნით ჩატარებული ტრენინგები, დაფინანსებული მივლინებები, ჩატარებული კონფერენციები, გაცემული ბონუსები და სხვ).

პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფისათვის, პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად, ასევე სამაგისტრო ნაშრომების ექსპერიმენტალური და კვლევითი კომპონენტის განსახორციელებლად სასურველია ფაკულტეტმა შექმნას საკუთარი ბაზა.

რადგანაც პროგრამა ინგლისურენოვანია და საერთაშორისო, სასურველია, პერიოდულად პროგრამამ გაიაროს დამოუკიდებელი უცხოელი ექსპერტის მიერ გარე შეფასება.

ასევე სასურველია აკრედიტაციის დროს SWOT ანალიზის დაწერისას მოხდეს გათვალისწინება ისეთი ფაქტორების როგორიცა ინტერნაციონალიზაცია და საერთაშორისო უნივერსიტეტებთან თამაშრომლობა.

1. **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
2. **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სადეგუსტაციო ოთახის აღჭურვა 2019 წელს, იტალიის და საფრანგეთის უნივერსიტეტების რეკომენდაციების გათვალისწინებით.

ბოლო რამოდენიმე წელია უნივერსიტეტი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობს ისეთ უნივერსიტეტებთან, როგორიცაა:
ბურგენლანდის უნივერსიტეტი, მილანის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მემორანდუმის გაფორმების, შვეიცარიის, ლოზანას უნივერსიტეტი, მილანი. 2019 წლიდან ფაკულტეტი წარმოადგენს ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტში VITA GLOBAL-პარტნიორ უნივერსიტეტს.
სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი არის ასოცირებული პარტნიორი Montpellier Supagro – EMaVE consortium (2018-2019 წლები). მომავალში უნივერსიტეტს შესაძლებლობა ეძლევა პროფესორ-მასწავლებლები გააგზავნოს საფრანგეთის უნივერსიტეტში ლექციების ჩასატარებლად, ასევე ყოველწლიურად ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან ჩამოდიან პროფესორ-მასწავლებლები ლექციების ჩასატარებლად. ასევე სტუდენტები და კურსდამთავრებულები მონაწილეობას იღებენ გაცვლით პროგრამებში, ასევე უცხოელი სტუდენტები გაცვლითი პროგრამების ფარგლებში ჩამოდიან საქართველოში როგორც პრაქტიკის ასევე სასწავლო კურსის გასავლელად.

ასევე უნივერსიტეტს გააჩნია ურთირთობები:

სუპაგრომონპელიესთან - http://gtu.ge/Agro/News/?ELEMENT_ID=11371;
მილანის უნივერსიტეტთან - http://gtu.ge/Agro/News/?ELEMENT_ID=8545;
გაიზენჰაიმის უნივერსიტეტთან http://gtu.ge/Agro/News/?ELEMENT_ID=12106;
მონაწილეობს სტუდენტთა ERASMUS+ გაცვლითი პროგრამებში;

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტს შეასწავლოს მსოფლიო მევენახეობა-მეღვინეობის რეგიონებში აპრობირებული და თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და ტექნოლოგიების გათვალისწინებით მევენახეობის და მეღვინეობის საკითხები, როგორიცაა:<br>„შეასწავლოს მსოფლიო მევენახეობა-მეღვინეობის რეგიონებში აპრობირებული და თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და ტექნოლოგიების გათვალისწინებით ვენახის გაშენების, აგროტექნოლოგიის, ვენახის მართვის თავისებურებები, გააცნოს ვენახისა და ყურძნის მავნებელ დაავადებები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები, ბიოდინამიური და ორგანული მევენახეობისადმი წაყენებული მოთხოვნები, ყურძნის გადამუშავების თავისებურებები, თანამედროვე, ინოვაციური და ტრადიციული მეთოდები ღვინისა და სხვადასხვა ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების წარმოების პროცესის დაგეგმა მართვა, ენოლოგიურ პროცესებში მონაწილე მანქანა-აპარატებისა და გამოყენებული მასალების ტექნოლოგიური მახასიათებლები, დარგში არსებული ტრადიციული, ინოვაციური და თანამედროვე ტენდენციები და ასევე ალკოჰოლური დუღილის დროს მიმდინარე მიკრობიოლოგიური და ფიზიკო-ქიმიური პროცესები და მათი მართვა, სასმელების ფიზიკო-ქიმიური შედგენილობა, მათი სენსორული შეფასება, ღვინის დაავადებები, ღვინის და სასმელების მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე ტენდენციები, მომხმარებელთა, მათ შორის ტურისტთა ქცევა, საერთაშორისო ბაზრებზე მოქმედი ვაზისა და ღვინის კანონმდებლობა, სერტიფიცირების პროცედურები და ეტიკეტირების წესი, ტურიზმის მნიშვნელობა, კონცეფციის ჩამოყალიბება, დაგეგმვა მართვა, მსოფლიო მევენახეობა-მეღვინეობის რეგიონების გაცნობა, წარმოებული პროდუქციის ტექნოლოგიური თავისებურებები“<br><br>პროგრამა ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის, მევენახეობა და მეღვინეობის მაგისტრის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი არსებული ინოვაციური მეთოდების გამოყენების უნარის მქონე შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური კადრის შექმნას, რომელსაც შეუძლია მართოს ღვინის წარმოების სრული ჯაჭვი, ყურძნის მოყვანა გაშენებიდან - საბოლოო მოხმარებლამდე.<br><br>პროგრამა არის ინგლისურენოვანი, სასწავლო პროგრამის მიზანია სტუდენტებისათვის |

ინგლისურენოვანი ლიტერატურის გაცნობა ინგლისურ ენაზე, თანამედროვე მიდგომებისა და მიღწევების გაცნობა დარგში, საერთაშორისო ტერმინოლოგიის და ასევე საერთაშორისო სტუდენტებისათვის საქართველოში სწავლების შესაძლებლობების შექმნა - ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია.

სასწავლო პროგრამის მიზნების სრულყოფის მიზნით სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს უნივერსიტეტის ფუნქციონირებისათვის აუცილებელ ყველა სპექტრს, რომელთა შორის შედის საგარეო ურთიეთობების განვითარება. ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა, რომლის ყველაზე მნიშვნელოვანი პირობაა სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის საფუძველზე ინტერდისციპლინური კვლევისა და სწავლების განვითარება. უნივერსიტეტის გრძელვადიანი განვითარების ამოცანაა საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია და გლობალური კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, საერთაშორისო ხილვადობის ზრდა და გაძლიერება.

შეთავაზებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები კარგადაა ფოკუსირებული სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიის უშუალო რეალიზაციაზე და ამასთანავე იგი მნიშვნელოვან როლს შეიტანს სპეციფიურად ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სფეროში ახალი სპეციალისტების ჩამოყალიბებაში და ხელს შეუწყობს არსებული ცოდნის და გამოცდილების გამოყენებას ბაზარზე.

მიზნები არის ხელმისაწვდომი და საჯარო. უნივერსიტეტის ვებგვერდზე ონლაინ, ხოლო ადმინისტრაციაში ხელმისაწვდომია ბეჭდვითი სახით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპოტენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან
- სამაგისტრო ნაშრომები
- გარე შეფასების დოკუმენტი (დამატებითი დოკუმენტი წარმოდგენილი უნივერსიტეტში ადგილზე - Montpellier Supagro SWOT ანალიზი და რეკომენდაციები სასწავლო პროგრამაზე)
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, რომ მიზნებში კარგად იყოს ასახული, რომ  პროგრამა არის სამაგისტრო და აუცილებლად უნდა მოითხოვებოდეს სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ზრდა და განვითარება, რაც ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკასა და სტრატეგიებში კარგად არის ჩამოყალიბებული ასევე უნდა იყოს გადატანილი მიზნებში.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამის წარმატების და შემდგომი განვითარებისთვის, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია კვლევის მატერიალურ-ტექნიუკური ბაზა (ლაბორატორიები).

ბოლო რამოდენიმე წელია უნივერსიტეტი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობს ისეთ უნივერსიტეტებთან, როგორიცაა:
ბურგენლანდის უნივერსიტეტი, მილანის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მემორანდუმის გაფორმების, შვეიცარიის, ლოზანას უნივერსიტეტი, მილანი.

2019 წლიდან ფაკულტეტი წარმოადგენს ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტში VITA GLOBAL-პარტნიორ უნივერსიტეტს.

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი არის ასოცირებული პარტნიორი Montpellier Supagro – EMaVE consortium (2018-2019 წლები). მომავალში უნივერსიტეტს შესაძლებლობა ეძლევა პროფესორ-მასწავლებლები გააგზავნოს საფრანგეთის უნივერსიტეტში ლექციების ჩასატარებლად, ასევე ყოველწლიურად ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან ჩამოდიან პროფესორ-მასწავლებლები ლექციების ჩასატარებლად. ასევე სტუდენტები და კურსდამთავრებულები მონაწილეობას იღებენ გაცვლით პროგრამებში, ასევე უცხოელი სტუდენტები გაცვლითი პროგრამების ფარგლებში ჩამოდიან საქართველოში როგორც პრაქტიკის ასევე სასწავლო კურსის გასავლელად.

ასევე უნივერსიტეტს გააჩნია ურთირთობები:

სუპაგრომონპელიესთან - http://gtu.ge/Agro/News/?ELEMENT_ID=11371;
მილანის უნივერსიტეტთან - http://gtu.ge/Agro/News/?ELEMENT_ID=8545;
გაიზენჰაიმის უნივერსიტეტთან http://gtu.ge/Agro/News/?ELEMENT_ID=12106;
მონაწილეობს სტუდენტთა ERASMUS+ გაცვლითი პროგრამებში;

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**აღწერა და შეფასება**

სამაგისტრო პროგრამის მიზნები მიიღწევა ქვემოთ მოცემული სასწავლო კურსების საშუალებით: სავალდებულო - **მევენახეობის და ვენახის მენეჯმენტის სისტემები; ღვინის წარმოება და ღვინის საწარმოს სისტემები; ენოქიმია; ღვინის ტურიზმი; ღვინის მიკრობიოლოგიის გაძლიერებული კურსი; საღვინე ყურძენი და მსოფლიოს მევენახეობის რეგიონები; მსოფლიოს ღვინოები და მისი წარმოების მეთოდები; ვენახის გაშენება და მოვლა; საველე პრაქტიკა მევენახეობაში; ღვინის და ტკბილის ანალიზის მეთოდები; მევენახეობისა და მეღვინეობის რეგულირება; ღვინის და სასმელების მარკეტინგი; ცქრიალა ღვინის წარმოების მეთოდები; ღვინის სენსორული შეფასება; საწარმოო პრაქტიკა ღვინის ქარხანაში; ყურძნისეული წარმოშობის დისტილირებული ალკოჰოლური სასმელების წარმოება; სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი; თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი; სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა.**; არჩევითი - **მევენახეობის და მეღვინეობის რეგულირება; აგროდაზღვევა; საღვინე ყურძენი და მსოფლიოს მევენახეობის რეგიონები; ღვინის და სასმელების მარკეტინგი; მსოფლიოს ღვინოები და ღვინის წარმოების მეთოდები; ცქრიალა ღვინის წარმოება.**

სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანამიმდევრულად ქვემოთ ჩამოთვლილი ეტაპების მიხედვით, რომელიც მოიცავს ოთხ ეტაპს:

1. დაინტერესებული პირის ჩართვა და შედეგების ფორმულირება:
2. კურიკულუმის ანალიზი რამდენად გააჩნიათ სტუდენტებს შესაძლებლობა მიაღწიონ აღნიშნულ სწავლის შედეგებს;
3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება;
4. შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად - სწავლის შედეგების შეფასების მეოთხე ეტაპზე ხდება შედეგების სამიზნე ნიშნულებთან შედარება და ანალიზი იმის თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა სწავლის შედეგებს.

სწავლის შედეგების შეფასების პროცესში, ჩართულები არიან აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები, შესაბამისი სფეროს დამსაქმებლები და ა.შ.

სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება სხვადასხვა უნივერსიტეტების გამოცდილების გაზიარებით და გარე შეფასების გამოყენებით. ასევე სწავლის შედეგების ანალიზში ჩართულები არიან დარგის სპეციალისტები. სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი ხდება წელიწადში ერთხელ, 1 თვით ადრე სასწავლო კურსის

დაწყებამდე.

სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტი უფრო დეტალურად უნდა იყოს გაწერილი მეტი ვიზუალიზაციისათვის; მოცემულია რთული სქემები და დეტალურად რომელი მიზანი რომელ შედეგებზე გადის რთულად აღსაქმელია. შედეგები შეძლებისდაგვარად უნდა დაკონკრეტდეს. ასევე უნდა იყოს განმარტება თუ ციფრებით ხდება რაიმეს შეფასება რომელი ციფრი რას აღნიშნავს, რაც დოკუმენტში არ არის მოცემული. (1,2,3). ასევე ციფრებით რაც არის მითითებული იქაც არის ცდომილება და გაურკვეველია.

სწავლის შედეგების ანალიზის მექანიზმის დოკუმენტში ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლების შედეგები არასწორად არის წარმოდგენილი და არარელევანტურია, იხილეთ დეტალური რეკომენდაციები 1.2 ნაწილში.

სწავლის შედეგები მეტწილად შეესაბამება სწავლის მიზნებს, რაც გამოიხატება დაგეგმილი სასწავლო პროგრამის საკითხების სწავლებაში. თუმცა რადგანაც  პროგრამა არის სამაგისტრო, აუცილებელია ისეთი საგნის სწავლება, რომელიც უნივერსიტეტში არსებული სამაგისტრო ნამუშევრების წერის ხარისხს გაზრდის, ასეთია აკადემიური წერა/ პროექტის წერა; სადაც დეტალურად იქნება განხილული სამაგისტრო ნამუშევრის სტრუქტურის და კვლევის მეთოდოლოგიის სწორად დაგეგმვის და შერჩევის თანამედროვე სამეცნიერო სტანდარტები.

მსგავსი საგანი აუცილებელია, რადგანაც არსებული სამაგისტრო ნაშრომების უმეტესობა საჭიროებს საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებას.  სამაგისტრო ნაშრომების წერის ხარისხის ზრდა ხელს შეუწყობს სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლას, კერძოდ კი - მიაღწიოს ისეთ შედეგებს, როგორიცაა კრიტიკული ანალიზის საფუძველზე მევენახეობა-მეღვინეობის პრობლემების ირგვლივ დასკვნების, პერსპექტივებისა და ინოვაციურ წინადადებების დამოუკიდებლად შემუშავება და აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან არგუმეტების ჩამოყალიბება.

ძირითადი უცხოელი სტუდენტების ინტერესი საქართველოს შესახებ არის ქვევრის ღვინო და ქართული ჯიშები, რაც აუცილებელია, რომ შეტანილი იქნას სასწავლო საგნებში უფრო ფართოდ და ასევე სასურველია, რომ მეტი სამეცნიერო ნაშრომი გაიწეროს მსგავს თემებზე, რადგანაც მსგავის თემატიკა აქტუალურია ქართული მევენახეობა - მეღვინეობისათვის.

სწავლის შედეგების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ დამსაქმებლებისათვის ერთ-ერთ მოთხოვნად საგნად ითვლება მიკრობიოლოგია, ამის გათვალისწინებით მოხდა მიკრობიოლოგიის საგნის დამატება. ასევე სტუდენტების მოთხოვნა, რომ გაზრდილიყო პრაქტიკული მეცადინეობები ღვინის ანალიზებში გათვალისწინებული იქნა უნივერსიტეტის მიერ.

ასევე სწავლის შედეგების მეტწილად მიღწევის გარანტიას იძლევა სწავლებაში

| |
|---|
| გამოყენებული ის თანამედროვე მიდგომები და ლიტერატურა, რომელიც მოცემულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ პროგრამის მიზნები<br>○ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი<br>○ ადამიანური რესურსი<br>○ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტი<br>○ სტუდენტებთან ინტერვიუ<br>○ დამსაქმებლებთან ინტერვიუ<br>○ ინტერნაციონალიზაცი<br>○ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები<br>○ თვითშეფასების დოუკუმენტი<br>○ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზი (დანართი 10)<br>○ სამაგისტრო ნაშრომები<br>○ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია |
| **რეკომენდაციები:**<br>• სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტი უნდა დაიწეროს უფრო კონკრეტულად და გამარტივდეს; შესაძლებელია შედეგები გაიზარდოს მათი დანაწევრების ხარჯზე ისე, რომ სტრუქტურა უფრო გასაგები და მარტივად აღსაქმელი გახდეს. ზოგადად ყველა მიზანი შეიძლება მოცემულ შედეგზე გავიდეს შინაარსით და ქვეტექსტით, მაგრამ სასურველია ისე გამოიკვეთოს სასწავლო კურსის შედეგები რომ უფრო ნათელი სურათი იყოს წარმოდგენილი. ასევე შედეგების შეფასებები მოცემულია ციფრებით 1-2-3 თუმცა დოკუმენტს არ ახლავს განმარტება რომელი ციფრი რას მიუთითებს, განმარტება მხოლოდ გამოგზავნილი იქნა არგუმენტირებული მოსაზრებებში, მეტად უნდა დაკონკეტდეს ესა თუ ის ციფრი რატომ იქნა მინიჭებული. ზოგადად მევენახეობა მეღვინეობა ერთმანეთთან კავშირშია, თუმცა შესაძლებელი კონკრეტული შედეგების გამოყოფა და დაკონკრეტება. ასევე სწავლის შედეგების ანალიზიც არასწორად არის წარმოდგენილი და ცალკეული სასწავლო კურსისათვის არარელევანტურია მოცემული სწავლის შედეგები.<br><br>**სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტი უნდა გასწორდეს შემდეგნაირად:**<br>• მევენახეობა მეღვინეობის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, აღწერს მევენახეობის ორგანიზაციული და სეზონური მართვის ძირითად პრინციპებს; ვაზის და ყურძნის განვითარების ფაზებს, აგროკლიმატური პირობების გავლენას ვაზიდა და ღვინსი ხარისხზე, ორგანული და ბიოდინამიკურ მევენახეობაში მიმდინარე პროცესებს, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად დამოუკიდებლად |

გეგმავს ვენახის მოვლა-მოყვანის ოპერაციებს, განიხილავს მცენარის ზრდა-განვითარების პროცესში შესაძლო პრობლემებს და გეგმავს მათი გადაჭრის გზებს.

- **ამ შედეგზე ვერ გავა ისეთი სასწავლო კურსები როგორიცაა:**

**ცქრიალა ღვინის წარმოების მეთოდები, ღვინის სენსორული შეფასება, საწარმოო პრაქტიკა ღვინის ქარხანაში, ყურძნისეული წარმოშობის დისტილირებული ალკოჰოლური სასმელების წარმოება - ერთადერთი შედეგი რაც შეიძლება ზემოთაღნიშნული სასწავლო საგნებისათვის რელევანტური იყოს არის:** „მევენახეობა მეღვინეობის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა“ დანარჩენ შედეგებზე მხოლოდ მევენახეობის მიმართულების სასწავლო კურსები შეიძლება გავიდეს.

- სასურველი საბოლოო პროდუქტის მიღების მიზნით განსაზღვრავს ოპტიმალური რთველის თარიღს, გეგმავს შესაბამის ტექნოლოგიასა და აყალიბებს ალკოჰოლური დუღილის წარმართვის პროცესს, აანალიზებს სეზონურ ოპერაციებს მოქმედი რეგულაციების შესაბამისად მართავს ყურძნის მოვლა-მოყვანისა და ენოლოგიური პროცესების მართვა-მონიტორინგს.

- **ამ შედეგზე უნდა გავიდეს ასევე ისეთი სასწავლო კურსი, როგორიცაა:**

**ენოქიმია**

- მსჯელობს მსოფლიო მევენახეობა-მეღვინეობის რეგიონებზე, არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად წარმოებულ ტრადიციულ, კლასიკურ და ინოვაციურ პროდუქციის წარმოების თავისებურებებზე, ადგილწარმოშობის დასახელებების რეგიონებსა და მათ მახასიათებლებზე, გავრეცელებულ ვაზის ჯიშებსა და აგროტექნოლოგიურ თავისებურებებზე.

- **ამ შედეგზე ვერ გავა ისეთი სასწავლო კურსი, როგორიცაა: ვენახის გაშენება და მოვლა;**

- **ღვინის სენსორული შეფასება მოცემულ შედეგზე გავა იმ შემთხვევაში თუ ღვინის სენსორული შეფასების სასწავლო კურსში გათვალისწინებული იქნება მსოფლიო ღვინის რეგიონების ღვინოების დეგუსტაციები.**

- აღწერს ყურძნის ტკბილისა და ღვინის ანალიზის მეთოდებს, ყურძნის გადამუშავების დროს მიმდინარე ქიმიურ-ფიზიკურ პროცესებს, მსჯელობს პროცესების მსვლელობისას აუცილებელ გადაწყვეტილებებსა და მათი განხორციელებების გზებზე.

- **ამ შედეგზე ვერ გავა ისეთი სასწავლო კურსი, როგორიცაა:**

**საველე პრაქტიკა მევენახეობაში**

- ახდენს ყურძნისა და ღვინის დაავადებების იდენტიფიცირებას, მსჯელობს მათი წარმოქმნის მიზეზებზე, შეიმუშავებს მათი აღმოფხვრის გზებს. საერთაშორისო მოთხოვნებისა და სტანდარტების გათვალისწინებით გეგმავს ალკოჰოლური სასმელების დეგუსტაციას.

- **ამ შედეგზე მხოლოდ პირველ წინადადება შეიძლება გავიდეს ისეთი**

**სასწავლო კურსი, როგორიცაა: მევენახეობა და ვენახის მენეჯმენტის სისტემები, დანარჩენი შედეგები არარელევანტურია მევენახეობა და ვენახის მენჯმენტის სისტემის სასწავლო კურსისათვის**

- **ვენახების გაშენება და მოვლის სასწავლო კურსი ამ შედეგზე ვერ გავა.**

- მსჯელობს მსოფლიო ალკოჰოლური სასმელების ბაზრის ტენდენციებზე, ბაზრის კვლევის თანამედროვე ინსტრუმენტებზე, კომპანიების სტრუქტურასა და ქვეყნებს შორის არსებულ სავაჭრო შესაძლებლობებზე, დამოუკიდებლად გეგმავს ბაზრის კვლევას, ბიზნესის, ბრენდისა და პროდუქტის განვითარების შესაბამისად კმაყოფილი მომხმარებლის მოზიდვის სტრატეგიას;

  - **თუ ისეთი სასწავლო კურსი, როგორიცაა ღვინის სენსორული შეფასება გადის ამ შედეგზე მაშინ სილაბუსში აუცილებლად უნდა მიეთითოს მსოფლიო რეგიონების ღვინოების დეგუსტაციები.**

- აკავშირებს ღვინოს, როგორც უძველეს კულტურას მსოფლიოში ტურიზმის ერთერთი მიმართულების ენოტურიზმის განვითარების და ხეშემწყობ პროდუქტს. აანალიზებს მსოფლიოში ღვინის ტურიზმისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, შეიმუშავებს ღვინის ტურიზმის განვითარების სტრატეგიას, ცნობადობის ამაღლების მიზნით გეგმავს აუცილებელ ღონისძიებებს და აქტივობებს.

  - **თუ ისეთი სასწავლო კურსი, როგორიცაა ღვინის სენსორული შეფასება გადის ამ შედეგზე მაშინ სილაბუსში აუცილებლად უნდა მიეთითოს მსოფლიო რეგიონების ღვინოების დეგუსტაციები.**

- გეგმავს და ახდენს უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გათვალისწინებით, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას. კრიტიკული ანალიზის საფუძველზე მევენახეობა-მეღვინების პრობლემების ირგვლივ შეიმუშავებს თავის დასკვნებს, პერსპექტივებსა და ინოვაციურ წინადადებებს. აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციისას აყალიბებს არგუმეტებს;

  იზიარებს და იცავს ეთიკური და პროფესიული პასუხისმგებლობის ნორმებს, დასაბუთებულად წარმოაჩენს მევენახეობა-მეღვინეობის დარგში არსებულ და ინოვაციურ ხედვებს;

  - ზემოთ მითითებული ორივე შედეგის სრულყოფილად მისაღწევად, გამომდინარე იქედან რომ პროგრამა  არის სამაგისტრო (სამეცნიერო მიმართულების), აუცილებელია ისეთი საგნის სწავლება, რომელიც გააუმჯობესებს უნივერსიტეტში არსებული სამაგისტრო ნამუშევრების წერის ხარისხსს, ასეთია აკადემიური წერა/ პროექტის წერა; სადაც დეტალურად იქნება განხილული სამაგისტრო ნამუშევრის სტრუქტურის და კვლევის მეთოდოლოგიის სწორად დაგეგმვის და შერჩევის თანამედროვე სტანდარტები.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

| |
|---|
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>**[redacted]ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | X | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

მაგისტრატურაზე სწავლების უფლება გააჩნია სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, მეთევზეობა, ვეტერინარია (08), საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათემატიკა, სტატისტიკა (05) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ფლობს ინგლისურ ენას 2 დონეზე, რაც დადასტუებულია აკრედიტებული დაწესებულების მიერ გაცემული (სერტიფიკატით), ან შიდა საუნივერსიტეტო ტესტირებით. უნივერსიტეტში ჩარიცხვა ხდება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები და ინგლისურ ენაზე შედგენილი ტესტები სპეციალიზაციის საგანში). გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსებულია სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე http://gtu.ge/Study-Dep/News/?ELEMENT_ID-12830 გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე შესაძლებელია საქათველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დადგენილი წესით. დაშვების წინაპირობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია და საჯაროა (http://gtu.ge)

დაშვების წინაპირობის დადგენაში ასევე გათვალისწინებული იყო დამსაქმებელთა რჩევები რომ მოხდეს მხოლოდ მომიჯნავე სპეციალობის სტუდენტების მიღება, რაც შედეგად უნივერსიტეტს მისცემს საშუალებას აღზარდოს მაღალკვალიფიციური კადრი შესაბამის დარგში .

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის მიზნები
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტი/ოქმი
- სტუდენტებთან ინტერვიუ
- დამსაქმებლებთან ინტერვიუ
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- თვითშეფასების დოუკუმენტი
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მათვის ინსტრუქცია https://gtu/ge/Study-Dep/Forms/Forms.php
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგევრდი http://gtu.ge
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მგისტრატურის შესახებ https://gtu.ge/Learning/debuleba_magistratura_ssaxeb.php (დანართი 4)

**რეკომენდაციები:**

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**<br>პროგრამა შედგენიალია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 საათს (2016 წლის 29 იანვრის ბრძანება #07/5 მიხედვით საგანამანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში შევიდა ცვლილებები და გაიზარდა დამოუკიდებელი მუშაობის საათები. ასევე შეიცვალა სტუ-ის კრედიტების გაანგარიშების წესი და 27 საათის ნაცვლად გახდა 25). სადაც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები, კრედიტების განაწილება წამოდგენილია პროგრამის სასწავლო გეგმაში, პროგრამა გრძელდება 2 წელი (4 სემესტრი) და მოიცავს 120 კრედიტს: სასწავლო კომპონენტი 75 კრედიტი, კვლევითი კომპონენტი 45 კრედიტი, რომელიც მოიცავს სამაგისტრო კვლევის პროექტს/პროსპექტუსს - 5 კრედიტი, თეორიულ/ექსპერიმენტულ კვლევა/კოლოქვიუმს - 10 კრედიტი, სამაგიტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა 30 კრედიტი. სასწავლო კურსს აქვს ასევე თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი, რომელიც მოიცავს 10 კრედიტს: ჯამში 30 კრედიტი. პირველ წელს მაგისტრანტი სწავლობს სპეციალობას ხოლო მეორე წელს მუშაობს სამაგისტრო ნაშრომზე.<br><br>პირველი წელიწადი ეთმობა თეორიულ მასალას, მეორე წელს სტუდენტებს შეუძლიათ პრაქტიკის გავლა და ასევე სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დაწყება. რადგანაც მევენახეობა და ენოლოგიის საკითხებში კვლევის შექმნა საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს, |

ამ ფაქტორის გათვალისწინებით სწავლების დასაწყისშივე ხდება სტუდენტების მობილიზება საკვლევი თემის შერჩევისათვის.

სასწავლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარში შესაბამისობაშია სწავლის მიზნებთან და მეტწილად უზრუნველყოფს სწავლის შედეგებზე გასვლას. ასევე საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და შეფასების წესის მიხედვით მოხდა პროგრამის ჩამოყალიბება, რომელიც არის საჯარო და ხელმისაწვდომი, ასევე გამოყენებული იყო ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის და სტრატეგიის მიზნები.

მოცემულ სასწავლო პროგრამის მომზადებაში ჩართულები იყვნენ დარგის სპეციალისტები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი და დამსაქმებლები. რომელთა რჩევებიც სრულად იქნა გათვალისწინებული.

გარე შეფასების დოკუმენტის მიხედვით ასევე ექსპერტთა მიგნებების თანახმად რეკომენდაციაა გაიზარდოს სამეცნიერო ნაწილი სასწავლო პროგრამებში. სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევის საქმეში აუცილებელია ისეთი საგნის დამატება, რომელიც დაეხმარება სტუდენტებს კვლევის მეთოდოლოგიის მომზადებასა და საკვლევი მასალის გამართულად წერაში, როგორიცაა კვლევის მეთოდოლოგია და აკადემიური წერა აგრარულ მეცნიერებებში, რაც პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი ფაქტორია და გადის ისეთი სწავლის შედეგზე, როგორიცაა  კრიტიკული ანალიზის საფუძველზე მევენახეობა-მეღვინეობის ირგვლივ სტუდენტმა შეძლოს შეიმუშაოს თავისი დასკვნები, პერსპექტივები და ინოვაციური წინადადებები. სასურველია მოხდეს საერთაშორისოდ აღიარებული კვლევის მეთოდოლოგიის, კვლევის მასალის მომზადების და აკადემიური წერის სრულფასოვნად დანერგვა. ასევე მსგავსი საგანი ინტერნაციონალიზაციის კუთხითაც აუცილებელად გასათვალისწინებელი ფაქტორია.

გარე შეფასების დოკუმენტის და ექსპერტთა მიგნებების მიხედვით რეკომენდაციაა, რომ სტუდენტების თავისუფალი საათების გადანაწილება იყოს სრულყოფილად გაწერილი.

ძირითადი უცხოელი სტუდენტების ინტერესი საქართველოს შესახებ არის ქვევრის ღვინო და ქართული ჯიშები, რაც აუცილებელია რომ შეტანილი იქნას სასწავლო საგნებში უფრო ფართოდ და ასევე სასურველია, რომ მეტი სამეცნიერო ნაშრომი გაიწეროს მსგავს თემებზე, რადგანაც მსგავის თემატიკა აქტუალურია ქართული მევენახეობა - მეღვინეობისათვის.

მოცემული სამაგისტრო პროგრამა სწავლის მიზნებსა და სასწავლო პროგრამის სტრატეგიას მეტწილად პასუხობს, მისი შინაარსი მეტწილად ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობას და ნაწილობრივ შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს მეტწილად სწავლის შედეგების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მაგისტრანტის პერსონალური სამუშაო გეგმა: http://gtu.ge/Learning/debuleba_magistraturis_sesaxeb.php
- ნაშრომის გაფორმების ინსტრქუცია: https:gtu.ge/Learning/debuleba_magistraturis_sesaxeb.php
- უნივერსიტეტის ვებგვერდი

- პროგრამის მიზნები
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტი/ოქმი
- სტუდენტებთან ინტერვიუ
- პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუ (დავით მაღრაძე)
- დამსაქმებლებთან ინტერვიუ
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- თვითშეფასების დოუკუმენტი
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მათვის ინსტრუქცია https://gtu/ge/Study-Dep/Forms/Forms.php
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდი http://gtu.ge
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მგისტრატურის შესახებ https://gtu.ge/Learning/debuleba_magistratura_ssaxeb.php (დანართი 4)
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (დანართი 9)
- პროგრამის შედგენასა და განვითარებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა (დანართი 2, 8, 17)

**რეკომენდაციები:**

სწავლის შედგების სრულყოფილად მიღწევის საქმეში აუცილებელია ისეთი საგნის დამატება, რომელიც დაეხმარება სტუდენტებს კვლევის მეთოდოლოგიის მომზადებასა და საკვლევი მასალის გამართულად წერაში, როგორიცაა კვლევის მეთოდოლოგია და აკადემიური წერა აგრარულ მეცნიერებებში.

ძირითადი უცხოელი სტუდენტების ინტერესი საქართველოს შესახებ არის ქვევრის ღვინო და ქართული ჯიშები, რაც აუცილებელია რომ შეტანილი იქნას სასწავლო საგნებში უფრო ფართოდ, უნდა დაემატოს მეტი ლექცია/სემინარი. კურსი არ ფარავს მხოლოდ ქართულ მევენახეობა მეღვინეობას, მაგრამ მსოფლიოში არსებული უნივერსიტეტების უმრავლესობა უფრო მეტ სალექციო დროს უთმობს საკუთარ რეგიონს. და ასევე სასურველია, რომ მეტი სამეცნიერო ნაშრომი გაიწეროს მსგავს თემებზე, რადგანაც მსგავის თემატიკა აქტუალურია ქართული მევენახეობა - მეღვინეობისათვის.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო და კვლევითი კომპონენტის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი დრო) უზრუნველყოფს მეტწილად მათი სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული კომპონენტის კრედიტების რაოდენობა გამოთვლილია მისი სპეციფიკის, თავისებურებებისა და მოცულობის გათვალისწინებით, იმის გათვალისწინებით, თუ რეალურად რა დრო სჭირდება საშუალო მოსწრების სტუდენტს კონკრეტული კომპონენტის ასათვისებლად. თუმცა არის ისეთი საგნები რომლებისთვისაც გამოყოფილი დრო სასწავლო კურსის სირთულიდან გამომდინარე უფრო მეტი დრო სჭირდება ვიდრე მითითებულია სილაბუსში. ასევე სტუდენტების დამოუკიდებელი საათები რომელიც მითითებულია სილაბუსში არ არის კონკრეტულად გაწერილი.

ხორციელდება პროგრამის თითოეული სასწავლო კომპონენტის სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება სილაბუსებში, შესაბამისი ჩანაწერების სახით.

სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს მსოფლიო მევენახეობა-მეღვინეობის რეგიონებში აპრობირებული და თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და ტექნოლოგიების გათვალისწინებით მიიღწევა შემდეგი საკითხების სწავლებით, როგორიცაა:

სავალდებულო კურსები - **მევენახეობის და ვენახის მენეჯმენტის სისტემები; ღვინის წარმოება და ღვინის საწარმოს სისტემები; ენოქიმია; ღვინის ტურიზმი; ღვინის მიკრობიოლოგიის გაძლიერებული კურსი; საღვინე ყურძენი და მსოფლიოს მევენახეობის რეგიონები; მსოფლიოს ღვინოები და მისი წარმოების მეთოდები; ვენახის გაშენება და მოვლა; საველე პრაქტიკა მევენახეობაში; ღვინის და ტკბილის ანალიზის მეთოდები; მევენახეობისა და მეღვინეობის რეგულირება; ღვინის და სასმელების მარკეტინგი; ცქრიალა ღვინის წარმოების მეთოდები; ღვინის სენსორული შეფასება; საწარმოო პრაქტიკა ღვინის ქარხანაში; ყურძნისეული წარმოშობის დისტილირებული ალკოჰოლური სასმელების წარმოება; სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი; თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი; სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა.;**

არჩევითი - **მევენახეობის და მეღვინეობის რეგულირება; აგროდაზღვევა; საღვინე ყურძენი და მსოფლიოს მევენახეობის რეგიონები; ღვინის და სასმელების მარკეტინგი; მსოფლიოს ღვინოები და ღვინის წარმოების მეთოდები; ცქრიალა ღვინის წარმოება.**

| |
|---|
| სილაბუსებს უნდა დაემატოს აკადემიური წერა / კვლევის მეთოდოლოგიის საგანი, ასევე რადგანაც არსებობს ინტერნაციონალიზაციის და ზოგადად ქართული მეღვინეობა-მევენახეობის შესახებ ინტერესი მსოფლიოში, აუცილებელია ცალკე საგნად გაიწეროს ქვევრის ღვინის ისტორია, ქვევრის ღვინის სპეციფიკა და მოწვეული პრაქტიკოსი ლექტორების მიერ ჩატარებული ლექცია/სემინარები. ძირითადი უცხოელი სტუდენტების ინტერესი საქართველოს შესახებ არის ქვევრის ღვინო და ქართული ჯიშები, რაც აუცილებელია რომ შეტანილი იქნას სასწავლო საგნებში უფრო ფართოდ და ასევე სასურველია რომ მეტი სამეცნიერო ნაშრომი გაიწეროს მსგავს თემებზე, რადგანაც მსგავის თემატიკა აქტუალურია ქართული მევენახეობა - მეღვინეობისათვის.<br><br>სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მეტწილად მიღწევას. ესენია ინგლისურენოვანი ლიტერატურა. სასწავლო მასალები წარმოდგენილია საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში. საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით.<br><br>სილაბუსების სახელწოდებებსა და შინაარსში გარკვეული ხარვეზებია, რაზედაც ექსპერტები გასცემენ რეკომენდაციას გასწორდეს. ასევე ხდება ზოგიერთი საკითხის გადაფარვა/გამეორება. რეკომენდაციები მოცემულია ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსების მიხედვით.<br><br>ზოგადად სილაბუსებში ხარვეზებით არის მითითებული სავალდებულო თუ დამხმარე ლიტერატურა, ლიტერატურის მითითებისას აუცილებლად უნდა შეირჩეს ერთგვაროვანი სტილი. მოცემული სასწავლო პროგრამა არის სამეცნიერო მიმართულების და როგორც პროფესორმა, ასევე სტუდენტმა თავის კვლევით კომპონენტებში სწორად, გამართულად უნდა მიუთითოს გამოყენებული ლიტერატურა, რომელიც ასევე რელევანტური უნდა იყოს სასწავლო პროგრამის შინაარსთან და რა თქმა უნდა ატარებდეს სამეცნიერო ხასიათს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ თვითშეფასების ანალიზი<br>○ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა<br>○ სასწავლო კურსის სილაბუსები<br>○ სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა<br>○ ინტერვიუე სტუდენტებთან და პროფესორო-მასწავლებლებთან |
| **რეკომენდაციები:**<br><br>• სილაბუსებს უნდა დაემატოს აკადემიური წერა / კვლევის მეთოდოლოგიის საგანი, მიუხედავად იმის რომ საბაკალავრო განათლება იძლევა საშუალებას სტუდენტმა აითვისოს აკადემიური წერა, აგრარული მეცნიერების კვლევებისათვის ცალკე სახელმძღვანელობიც კი არსებობს, სადაც დეტალურად არის აღწერილი როგორ უნდა დაიგეგმოს კვლევა და რა სახის კვლევის სახე შეიძლება შეირჩეს. აგრარული |

მეცნიერება ზოგადად ხანგრძლივ კვლევას მოითხოვს ამიტომაც კვლევის საგნის არჩევას და კვლევის მეთოდოლოგიას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რათა შედეგი იყოს ეფექტური (ასეთი ერთ-ერთი წიგნის მაგალითია: Sahu, P. K. (2013). *Research methodology: A guide for researchers in agricultural science, social science and other related fields* (Vol. 432). Nadia: Springer.)

- ასევე რადგანაც არსებობს ინტერნაციონალიზაციის და ზოგადად ქართული მეღვინეობა მევენახეობის შესახებ ინტერესი მსოფლიოში, აუცილებელია ცალკე საგნად ან საკითხად იყოს გაწერილი ქვევრის ღვინის ისტორია, ქვევრის ღვინის სპეციფიკა და მოწვეული პრაქტიკოსი ლექტორების მიერ ჩატარებული ლექცია/სემინარები, ეს საგანი შესაძლოა დაემატოს - მსოფლიოს ღვინოები და ღვინის წარმოების მეთოდებს, ან სხვა სასწავლო კურსს. არგუმენტირებულ მოსაზრებაში სულ 5 სალექციო თემით ხდება ამ საკითხის დაფარვა.

- გასათვალისწინებელია სილაბუსში გარკვეული სახეცვლილება, რომელიც წარმოდგენილი რეკომენდაციების სახით იქნება ცალკეული სასწავლო საგნის მიხედვით

იხილეთ თანდართული რეკომენდაციები ცალკეული სილაბუსების მიხედვით:

**ცალკეული სილაბუსების მიხედვით გაწერილი რეკომენდაციები:**

1. **მევენახეობა და ვენახის მენეჯმენტის სისტემები**

**კურსის მიზანია შეასწავლოს:**

**<u>სილაბუსის საკითხები:</u>**

- სილაბუსი განიხილავს ვაზის ფიზიოლოგიას, რომელიც უკვე ცალკე საგნად არის გამოყოფილი როგორც ვაზის ფიზიოლოგია
- ასევე მეორდება ვაზის დაავადებები რომლისთვისაც გამოყოფილია ცალკე საგანი - უმჯობესია გასწორდეს როგორც ვაზის დაავადებების მართვის და კონტროლის აგროტექნოლოგიური მეთოდები

6. **ღვინის მიკრობიოლოგიის გაძლიერებული კურსი**

**ცდომილებაა წიგნის დასახელებაში: არის** P. Ribereau-Gayon, D. *Dubourdieu, B. Doneche, A. Lonvaud (2006). Handbook of Enology. Volume 3. The Microbiology of Wine and Vinifications. 2nd Edition. John Wiley & Sons Ltd. The Atrium, Southern Gate, Chichester. 497 p. Central Library of GTU CD 3359* უნდა იყოს:

Ribéreau-Gayon, Pascal, Denis Dubourdieu, Bernard Donèche, and Aline Lonvaud, eds. *Handbook of enology, Volume 1: The microbiology of wine and vinifications*. Vol. 1. John Wiley & Sons, 2006.

7. **ენოქიმია**

გაუმართავია სწავლის შედეგების აღწერის წინადადები (იხ. მონიშნული ფრაზები), შემოთავაზებული ფრაზებია:

• აღწერს ყურძნის წვენისა და ღვინის ქიმიურ შედგენილობას, შეუძლია ახსნას დეტალურად ღვინოში მიმდინარე ქიმიური რეაქციები; **განიხილავს ქიმიური გარდაქმნების შედეგად მიღწეულ შედეგს, როგორც ღვინოების სტილებს შორის სხვაობას;** აფასებს ხარისხს, **აანალიზებს ყველა ეტაპზე მიმდინარე ქიმიური რეაქციების კომპლექსურობას და წარადგენს დასკვნებს საწარმოო საფეხურებზე**

• აყალიბებს ღვინოში მიმდინარე ქიმიური პროცესების წარმართვის პრინციპებს, **გეგმავს წარმატებულ ალკოჰოლურ დუღილს,** აფასებს მიკროორგანიზმებით გამოწვეულ არასასურველ ეფექტებსა და მათი თავიდან აცილების სქემას, **აანალიზებს მეთოდებს სასურველი ღვინის მისაღწევად, აჯამებს** დუღილის შედეგად მიღებულ ღვინის სტილსა და ხარისხს; **ქიმიური ნივთიერებების ანალიზის მეთოდებს;**

სალექციო თემებზე რეკომენდაციები და შეთავაზებული ჩასწორებები:

**5 არომატი და გემო; გასასწორებელია წინადადებები, ქართული ნათარგმნი უნდა შეესაბამებოდეს ინგლისურ ვარიანტს:** არომატები, გემო, დაგემოვნება, აღწერილობითი ანალიზები, ღვინის შეფასების ტესტები, მონოტერპენები, გლიკოზიდები, პირაზინები, აქროლადი ეთერები, დიაცეტილი, გოგირდოვანი ნივთიერებები, გემური თვისებები.

Taste, smell and aroma; Aroma, bouquet, taste, flavor, descriptive analysis, rating tests, monoterpenes, glycosides, pyrazines, volatile estres, diacetyl, sulfur compounds, mouthfeel.

**6 ჟანგვა-აღდგენითი რეაქციები და ღვინის დაძველება;** გასასწორებელია წინადადებები/ფრაზები - დაჟანგვის ნაცვლად უმჯობესია გამოვიყენოთ ჟანგვა; ღვინის ჟანგვა-აღგდენის ძირითადი ასპექტები, ფენოლური ჟანგვა, წითელი ღვინის ფერის ცვლა (ყავისფერში გადასვლა) - აქ მითითებული იყო თეთრი ღვინი, ღვინის დაძველება ბოთლებში, დიმეთილ სულფიდი და სხვა სულფიდები, აცეტალდეჰიდი, C13 ნორიზოპრენოიდი, მიკრო ოქსიგენაცია

(Wine oxidation: Phenolic oxidation, red wine color, bottle aging, dimethyl sulfide and other sulfides, acetaldehyde, C13 norisoprenoids, micro-oxygenation.)

სალექციო თემა **9 ღვინის ზადი:** ქიმიური და მიკრობიოლოგიური ზადი, შედეგების შეჯამება - უნდა იყოს ინგლისურიდან ნათარგმნი როგორც, შეჯამება ღვინის ზადების (summary of wine faults)

სალექციო თემა **11 ღვინის ავთენტურობა:** ღვინის მრავალფეროვნება, გარემოს ნაცვლად უნდა იყოს ტერუარი, დამყნობილი ვაზები, ბიოდინამიკა და ორგანული მეღვინეობა, მდგრადი მევენახეობა, ქიმიური და ფიზიკური ჩარევა/მანიპულაცია; ბუნებრივი ღვინის წარმოების მიმართულება, საფუარი, ველური და კულტივირებული საფუარი, სიმწიფე და ალკოჰოლის ნიშნული, ღვინის ზადები, ღვინის წარმოებაში ნახშიროჟანგის  გამოყოფის კვალი

(The Diversity of Wine, Terroir, Grafted Vines, Biodynamics and Organics, Sustainable Winegrowing, Chemical and Physical Manipulation, The Natural Wine Movement, Yeasts, Wild and Cultured, Ripeness and Alcohol Levels, Wine Faults, The Carbon Footprint of Wine.)

სალექციო თემა 12 **სპეციფიური ღვინო პროდუქცია:** ცქრიალა ღვინოები და საფუვრის ავტოლიზი, ბიოლოგიურად დაძველებული ღვინო.  (ამ თემას ფარავს ცქრიალა ღვინოების

სილაბუსი)

## 12 ღვინისა და ტკბილის ანალიზის მეთოდები

ლიტერატურის მითითების ერთი სტილი უნდა იქნას არჩეული (APA, Chicago ან სხვ.)

<u>არჩევითი სასწავლო კურსები:</u>

### 11.1. მსოფლიოს ღვინოები და ღვინის წარმოების მეთოდები

რადგანაც ქართულ ტრადიციულ მეღვინეობას სააკრედიტაციო პროგრამაში არ ეთმობა ადგილი, სასურველია, ამ სასწავლო კურსში მაინც დაეთმოს მეტი დრო (ამ დროისათვის ეთმობა 2 სთ) და ლიტერატურის ნუსხაში დაემატოს აღნიშნული თემისთვის შესაფერისი ლიტერატურა.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- ქართულად შემოთავაზებული სილაბუსები წარმოადგენს ინგლისურიდან, ნათარგმს, აუცილებელია ყველა საკითხი რომელიც მოცემულია ინგლისურად შეესაბამებოდეს ქართულ ვარიანტს; სილაბუსებზე პასუხისმგებელმა პროფესორებმა უნდა დეტალურად გაასწოროს ყველა სილაბუსი, რომ ცდომილება არ იყოს ინგლისურ და ქართულ ვარიანტებს შორის.

- სასურველია ცქრიალა ღვინის წარმოება გადავიდეს სავალდებულო საგნების რიცხვში.

რჩევები ცალკეულ სილაბუსებზე:

### 1. მევენახეობა და ვენახის მენეჯმენტის სისტემები

<u>სასურველია დაემატოს შემდეგი ლიტერატურა:</u>

Keller, Markus. *The science of grapevines*. Academic press, 2020.

Gladstones, John. *Viticulture and environment*. Winetitles, 1992.

Winkler, Albert Julius. *General viticulture*. Univ of California Press, 1965.

### 2. ვაზის ფიზიოლოგია

**ლიტერატურაში სასურველია გამოყენებული იყოს ისეთი წიგნები, რომლებიც სწავლის შედეგის მიღწევას გაამარტივებს, როგორიცა:**

<u>სასურველია დაემატოს შემდეგი ლიტერატურა:</u>

Keller, Markus. *The science of grapevines*. Academic press, 2020.

Gladstones, John. *Viticulture and environment*. Winetitles, 1992.

Coombe, Bryan George, and Peter R. Dry, eds. *Viticulture Vol 2: Practices*. Vol. 2. Winetitles Pty Limited, 1992.

## 4 ვაზის მავნებელ დაავადებები და ინტეგრირებული დაცვის მეთოდები

**სილაბუსის სახელწოდებაში ცვლილებაა შესატანი:**

სასწავლო კურსის სახელწოდება არასწორად არის ფორმულირებული: უნდა იყოს ცალკე გამოყოფილი მავნებლები და დაავადებები, შემდეგი ფორმულირებით უნდა იყოს დაწერილი: **"ვაზის მავნებლები და დაავადებების და ინტეგრირებული დაცვის მეთოდები" / ან „ვაზის მავნებელ-დაავადებები და ინტეგრირებული დაცვის მეთოდები"**

## 5. ვენახის ნიადაგისა და წყლის ინტეგრირებული მენეჯმენტი

<u>სასურველია დაემატოს შემდეგი ლიტერატურა:</u>


Keller, Markus. *The science of grapevines*. Academic press, 2020.

Gladstones, John. *Viticulture and environment*. Winetitles, 1992.

Winkler, Albert Julius. *General viticulture*. Univ of California Press, 1965.

Coombe, Bryan George, and Peter R. Dry, eds. *Viticulture Vol 2: Practices*. Vol. 2. Winetitles Pty Limited, 1992.


## 7 ენოქიმია

სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები ითვისებენ ანალიზის მეთოდებს, რომელთა გამოყენება სასურველია კვლევითი საქმიანობისათვის. თუმცა, უფრო მნიშვნელოვანია, პირველ რიგში სტუდენტი დაეუფლოს ყურძნის ტკბილისა და ღვინის ანალიზის სტანდარტულ მეთოდებს, რომელთა გამოყენება ხდება რეგულარულად პროდუქციის ხარისხის კონტროლისათვის ღვინის ინდუსტრიაში მოქმედ ყველა საწარმოში და ყველა აკრედიტებულ ლაბორატორიაში. ესენია: შაქრიანობის, ექსტრაქტის, pH-ის, ტიტრული და მქროლავი მჟავიანობის, გოგირდის, ფენოლური ნაერთების, ეთილის სპირტის ,დიგლუკოზიდების და ა.შ. განსაზღვრა;

## 16 საწარმოო პრაქტიკა ღვინის ქარხანაში

**ქარხანა** უკვე მოძველებული სიტყვაა და თანამედროვე ქართულ მეღვინეობაში უმჯობესია გამოვიყენოთ **საწარმო.**

ღვინისა და ტკბილისი ანალიზის მეთოდები (12) მითითებულია, როგორც წინაპირობა პრაქტიკის სილაბუსი არ საჭიროებს ამ წინაპირობას.

## 9 ვენახის გაშენება და მოვლა

<u>სასურველია დაემატოს შემდეგი ლიტერატურა:</u>


Keller, Markus. *The science of grapevines*. Academic press, 2020.

Gladstones, John. *Viticulture and environment*. Winetitles, 1992.

Winkler, Albert Julius. *General viticulture*. Univ of California Press, 1965.

10 საველე პრაქტიკა მევენახეობაში

<u>სასურველია დაემატოს შემდეგი ლიტერატურა:</u>

Keller, Markus. *The science of grapevines*. Academic press, 2020.

Gladstones, John. *Viticulture and environment*. Winetitles, 1992.

Winkler, Albert Julius. *General viticulture*. Univ of California Press, 1965.

<u>არჩევითი საგნები:</u>

## 11.2. ღვინისა და სასმელების მარკეტინგი

სილაბუსში სალექციო თემა არ ეხება ქართული ღვინის ბაზარს, მარკეტინგულ სტრატეგიას, გამოცდილებას, მდგომარეობას, რესურსებს. შესაბამისად, არც წყაროებია მითითებული

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროგრამა გრძელდება 2 წელი (4 სემესტრი) და მოიცავს 120 კრედიტს: სასწავლო კომპონენტი 75 კრედიტი, კვლევითი კომპონენტი 45 კრედიტი, რომელიც მოიცავს სამაგისტრო კვლევის პროექტს/პროსპექტუსს - 5 კრედიტი, თეორიულ/ექსპერიმენტულ კვლევა/კოლოქვიუმს - 10 კრედიტი, სამაგიტრო |

ნაშრომის დასრულება და დაცვა 30 კრედიტი. სასწავლო კურსს აქვს ასევე თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი, რომელიც მოიცავს 10 კრედიტს: ჯამში 30 კრედიტი. პირველ წელს მაგისტრანტი სწავლობს სპეციალობას ხოლო მეორე წელს ამუშავებს და იცავს სამაგისტრო ნაშრომს.

სასწავლო პროგრამაში გათვალისწინებულია მე-II სემესტრში 5 კრედიტიანი საველე პრაქტიკა მევენახეობაში, ხოლო მესამე სემესტრში 5 კრედიტიანი პრაქტიკა მეღვინეობაში, სულ პრაქტიკული ნაწილი მოიცავს 250 საათს ანუ 10 კრედიტიX25 საათზე. მაგისტრანტი კვლევით კომპონენტს ასრულებს სამაგისტრო ნაშრომის თემის მიხედვით, რომელიც სრულდება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და თანამშრომლობის მემორანდუმით განსაზღვრულ შესაბამისის პროფილის ორგანიზაციაში. სამაგისტრო პროსპექტუსი/პროექტი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით.

სილაბუსებში პრაქტიკა მევენახეობაში და პრაქტიკა ღვინის საწარმოში მოცემული პრაქტიკული ნაწილის საათების რაოდენობა არ არის საკმარისი, ნაკლები საათებია გაწერილი პრაქტიკულ ნაწილზე ხოლო დამოუკიდებელ საათების რაოდენობა ბევრია და არ კონკრეტდება დამოუკიდებელი საათების განაწილებს მიზნობრიობა. პროგრამის შედეგების მისაღწევად. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი 7-ზე მეტ კომპანიასთან თუ სამეცნიერო კვლევით ცენტრთან.

აღსანიშვნავია რომ დამსაქმებლებმა თვითონ უზრუნველყვეს სტუდენტების რამოდენიმე კვირიანი პრაქტიკული ტრენინგები იტალიაში, ასევე რამოდენიმე ღვინის კომპანიამ ტურისტულ ბაზაზე სტუდენტებს გაატარეს პრაქტიკული სწავლება საკუთარი ხარჯებით. ზოგიერთი კომპანიის მოთხოვნები, რომ ამაღლდეს სტუდენტების ცოდნა მიკრობიოლოგიაში სრულად გათვალისწინებული იქნა ახალ სასწავლო პროგრამაში.

ბევრი სტუდენტი თუ კურსდამთავრებულების თხოვნა, რომ სწავლა ტარდებოს საღამოს საათებში გათვალისწინებული იქნა უნივერსიტეტის მიერ, რითაც სტუდენტებს მიეცათ საშუალება დღისით იმუშაონ ხოლო საღამოს საათებში დაესწრნენ ლექციებს.

თვითშეფასების ანალიზში მხოლოდ ზოგადად არის მოცემული, რომ სტუდენტები ჩართულები არიან ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევით პროექტებში, ადგილზე ინტერვიუს შედეგად და სადიპლომო ნამუშევრების განხილვისას გამოვლინდა რომ ერთ-ერთი კურსდამთვრებული იმყოფებოდა საზღვარგარეთ სადაც ამუშავებდა უფრო დეტალურად კვლევის პროექტს (კერძოდ კი კვლევა ვაზის სელექციის საკითხებში) . ასევე პროფესორ-მასწავლებლები მუდმივად ჩართულები არიან ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებში ლექციების წაკითხვასა და ტრენინგებში. კონკრეტული კონფერენციების დროები და სახელები თვითშეფასების ანალიზებში არ არის მითითებული.

სტუდენტების თითქმის 80 პროცენტი დასაქმებულია სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდგომ, სტატისტიკურად კი 8 სტუდენტიდან მხოლოდ 3 -მა გააგრძელა სამეცნიერო საქმიანობა.

მოცემული დრო პრაქტიკული ნაწილისათვის მცირეა და სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევას ვერ უზრუნველყოფს, სასწავლო პროგრამის როგორც თვითშეფასებაში ასევე უნივერსიტეტის ვებგერდზე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ მოცემულია რომ პრაქტიკული

ნაწილისათვის განკუთვნილია ჯამში 10 კრედიტი
https://gtu.ge/Learning/debuleba_magistraturis_sesaxeb.php

სასწავლო კურსი საწარმოო პრაქტიკა ღვინის ქარხანაში - საათების რაოდენობა პრაქტიკის არის 45 სთ, ხოლო დამოუკიდებელი საათების რაოდენობა არის 78 სთ; დამოუკიდებელი საათები წესით არ არის საჭირო და დრო რაც გამოყოფილია უნდა გაიწეროს სრულად პრაქტიკაზე, შესაბამისად 5 კრედიტის, რომელიც ჯამში იქნება =5*25=125 სთ. 45 საათი ვერ იქნება საკმარისი პრაქტიკისათვის.

იგივე ეხება სასწავლო კურსს - საველე პრაქტიკა მევენახეობაში - საათების რაოდენობა პრაქტიკისათვის არის 60 სთ დამოუკიდებელი საათები კი 88 საათი; ჯამში პრაქტიკისათვის უნდა იყოს გამოყოფილი 125 სთ.

სტუდენტების დამოუკიდებელი საათები აუცილებელია, რომ დაკონკრეტდეს როგორ არის გადანაწილებული.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანალიზი
- ქართული მევენახეობა და ენოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- სამაგისტრო ნაშრომები
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან
- ვებგვერდი http://gtu.ge
- მაგისტრატურის დებულება https://gtu/ge?learning/debuleba_magistaturis_sesaxeb.php
- ინტერვიუ პროფესორ-მასწავლებლებთან
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, კერძოდ კი საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან.
- ინტერვიუ სტუდენტებთან
- მემორანდუმები ადგილობრივ დამსაქმებლებთან (დანართი 11)
- გარე შეფასება (დამატებითი დოკუმენტი წარმოდგენილი შემოწმებისას ადგილზე)

**რეკომენდაციები:**

- მევენახეობაში საველე პრაქტიკისათვის და საწარმო პრაქტიკა ღვინის ქარხანაში სასწავლო კურსებში უნდა გასწორდეს პრაქტიკის საათების გადანაწილება, უნივერსიტეტის სამაგისტრო დებულების მიხედვით.

  საათების რაოდენობა პრაქტიკისათვის არის 60 სთ დამოუკიდებელი საათები კი 88 საათი; ჯამში პრაქტიკისათვის უნდა იყოს გამოყოფილი 125 სთ.

  სტუდენტების დამოუკიდებელი საათები რომელიც პრაქტიკშია მოცემული აუცილებელია, რომ დაკონკრეტდეს როგორ არის გადანაწილებული.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

პროგრამის განვითარებისთვის სასურველია მოხდეს უნივერსიტეტსა და საქართველოში არსებულ მეწარმეებს შორის მჭიდრო კავშირის დამყარება, რაც ითვალისწინებს საკვლევი საკითხების წინასწარ შემუშავებას და ბაზარზე არსებულ მოთხოვნებზე მორგებას. ეს

| |
|---|
| რეკომენდაცია ასევე გარე შეფასებაშია მითითებული.<br><br>საუკეთესო შედეგები მიიღება თუ სწავლების პროცესში მოხდება ჯგუფური სამუშაოების ჩატარება, რაც მოიცავს რომელიმე საწარმოს შემოწმებას/აუდიტს; მსგავსი პრაქტიკა დანერგილია ბევრ მევენახეობა/მეღვინეობის უნივერსიტეტში, როგორიცაა (Supagro, Bordeaux Sciencee Agro და სხვ).<br><br>თვითშეფასების ანალიზში დეტალურად უნდა იყოს ჩამოთვლილი საერთაშორისო თუ ადგილობრივი კონფერენციების თუ სემინარების სახელები და ჩატარების დროები.<br><br>ასევე თვითშეფასებაში უნდა იყოს ჩამოთვლილი კურსდამთავრებულების თუ არსებული სტუდენტების აქტივობები უცხოეთში როგორც კვლევით ასევე მევენახეობის და მეღვინეობის საწარმოებში. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები** |
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**<br>სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლის შემდეგი მეთოდები: დისკუსია/დებატები; ჯგუფური სამუშაოები (collaborative), შემთხვევების სწავლა (case study), ლექციაზე მასალის ვერბალურად გადაცემის გარდა (ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი) ასევე გამოყენებულია დემონსტრირების მეთოდი: პრეზენტაციები, ახსნა განმარტებითი მეთოდები, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია, ყოველივე ჩამოთვლილი მეთოდი სწავლის შედეგის მიღწევის გარანტიას იძლევა. |

კონკრეტული სასწავლო დისციპლინის შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით ხდება კურსის სწავლების მეთოდების შერჩევა, რაც შესაბამისი დისციპლინის სილაბუსში აისახება. ასევე თითოეული სასწავლო მეთოდი დეტალურად არის ჩაშლილი ონლაინ პლატფორმზე, უნივერსიტეტის ვებგვერდზე http://www.gtu.ge/quality/pdf/sc.pdf

სწავლის შედეგების მისაღწევად უნივერსიტეტს გააჩნია ბიბლიოთეკა და ონლაინ სერვისები სადაც სტუდენტებს შეუძლიათ გაეცნენ სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურას.

სწავლების პროცესში შესაძლებელია ამა, თუ იმ მეთოდისთვის პრიორიტეტის მინიჭება სასწავლო კომპონენტის სპეციფიკიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე, რადგან სწავლებისას გამოყენებული მეთოდების შერჩევა მიმართულია აქტიური სწავლების, შემეცნებითი საქმიანობის განვითარებაზე და სტიმულირებაზე, სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობაზე.

სწავლის მეთოდები ასევე მოიცავს ლაბორატორიულ მეთოდებს როგორც მეღვინეობის ასევე მევენახეობის მიმართულებით, რომელიც ტარდება უნივერსიტეტის ბაზაზე თუ დამსაქმებლებთან.

2019 წელს უნივერსიტეტში პირველად ჩაერთო უცხოელი სტუდენტი, პანდემიის ფონზე ონლაინ რეჟიმში სწავლება ნაკლებად შედეგიანი აღმოჩნდა, თუმცა მისი რეკომენდაციებია რომ უფრო მეტი პრაქტიკული მეცადინეობები იყოს, როგორიცაა ღვინის დეგუსტაციები. ასეთი შეფასება რადგანაც ჯერ პირველი პრეცედენტია და ასევე ემთხვევა პანდემიას, აკრედიტაციის შეფასების ექპერტებმა არ გაითავლისწინეს.

სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კომპონენტის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

გარე შეფასების ანალიზის მიხედვით უნივერსიტეტის მიერ დანერგილი სწავლების მეთოდების შემუშავებაში გათვალისწინებულია საერთაშორისო გამოცდილება, და გარე შეფასებით დადებითად იქნა შეფასებული. თუმცა რეკომენდაცია იყო მეტი დრო დაეთმოს სამეცნიერო კვლევის ნაწილს.

სასწავლო კურსი საწარმოო პრაქტიკა ღვინის ქარხანაში - საათების რაოდენობა პრაქტიკის არის 45 სთ, ხოლო დამოუკიდებელი საათების რაოდენობა არის 78 სთ; დამოუკიდებელი საათები წესით არ არის საჭირო და დრო რაც გამოყოფილია უნდა გაიწეროს სრულად პრაქტიკაზე, შესაბამისად 5 კრედიტის, რომელიც ჯამში იქნება =5*25=125 სთ. 45 საათი რაც მოცემულია სილაბუსში ვერ იქნება საკმარისი პრაქტიკისათვის.

იგივე ეხება სასწავლო კურსს - საველე პრაქტიკა მევენახეობაში - საათების რაოდენობა პრაქტიკისათვის არის 60 სთ დამოუკიდებელი საათები კი 88 საათი; ჯამში პრაქტიკისათვის უნდა იყოს გამოყოფილი 125 სთ.

**ენოქიმიის სასწავლო კურსში:**

<u>**სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდებში:**</u>

| |
|---|
| მონიშნულია ლექცია, **ლაბორატორიული**, კონსულტაცია და დამოუკიდებელი მუშაობა;<br>საათების განაწილებაში სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად<br>ლექცია - 15, სემინარი - 15 **ლაბორატორიული** სამუშაოები არ არის ჩამონათვალში.<br>სილაბუსში, სემინარების ნაწილში არ იკითხება, როდის არის ჩანიშნული 5 ლაბორატორიული სამუშაო და რომელი სამუშაოებია ისინი? |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ თვითშეფასების ანალიზი<br>○ ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ სილაბუსი<br>○ ინტერვიუ პროფესორებთან<br>○ ინტერვიუ სტუდენტებთან<br>○ ვებგვერდი http://gtu.ge<br>○ მაგისტრატურის დებულება https://gtu/ge?learning/debuleba_magistaturis_sesaxeb.php<br>○ სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები http://gtu.ge/quality/Files/PDf/scavlebis%20metodebi%20da%20aqtivobebi.pdf<br>○ ინტერვიუ პროფესორ-მასწავლებლებთან<br>○ დანართი 2, 17<br>○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, კერძოდ კი საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან. |
| **რეკომენდაციები:**<br>• ენოქიმიის სასწავლო კურსის სილაბუსში ლაბორატორიული სამუშაოებისათვის უნდა გამოიყოს შესაბამისი დრო |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>პროგრამის განვითარებისთვის სასურველია მოხდეს უნივერსიტეტსა და საქართველოში არსებულ მეწარმეებს შორის მჭიდრო კავშირის დამყარება, რაც ითვალისწინებს საკვლევი საკითხების წინასწარ შემუშავებას და ბაზარზე არსებულ მოთხოვნებზე მორგებას. ეს რეკომენდაცია ასევე გარე შეფასებაშია მითითებული.<br>საუკეთესო შედეგები მიიღება თუ სწავლების პროცესში მოხდება ჯგუფური სამუშაოების ჩატარება, რაც მოიცავს რომელიმე საწარმოს შემოწმებას/აუდიტს; მსგავსი პრაქტიკა დანერგილია ბევრ მევენახეობა/მეღვინეობის უნივერსიტეტში, როგორიცაა (Supagro, Bordeaux Sciencee Agro და სხვ).<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა |

აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა, სტუდენტის საერთო შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებასა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. თითოეულ ელემენტს თავისი პროცენტული წილი აქვს შეფასების საერთო სისტემაში.

უარყოფითი შეფასების შემთხვევაში (FX) ინიშნება დამატებით გამოცდა, შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში, გამოცდაზე ხელმეორედ გასვლის მხოლოდ ერთი უფლება ეძლევათ.

**რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესს, ის ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით.**

დეტალური ინფორმაცია სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის შესახებ მოცემულია ვებგვერდზე http://gtu.ge/Study.Dep/Forms/Forms.php

საკვალიფიკაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები, სკალები და კვლევითი კომპონენტის შეფასების წესები მოცემულია მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესში, უნივერსიტეტის ვებგბერდზე:

http://gtu.de/learning/debuleba_magistraturis_sesaxeb.php

სტუდენტებისათვის არსებობს შეფასების გასაჩივრების შესაძლებლობა, თუმცა არსებულ სტუდენტებს შორის არცერთს არ მიუმართავს, თუმცა ინფორმაცის შეფასების გასაჩივრების შესახებ ყველა სტუდენტი ფლობს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების დოკუმენტი
- ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კომპონენტების სილაბუსები.
- www.gtu.ge
- სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის შესახებ მოცემულია ვებგვერდზე http://gtu.ge/Study.Dep/Forms/Forms.php

| |
|---|
| ○ საკვალიფიკაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები, სკალები და კვლევითი კომპონენტის შეფასების წესები http://gtu.de/learning/debuleba_magistraturis_sesaxeb.php<br>○ დანათი 8 |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება** ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | X | | |

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ

ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში ვიზიტის დროს განხორციელებულ ინტერვიუბზე დაყრდნობით ჩანს, რომ მოცემული სტანდარტის კომპონენტი შესაბამისობასია მოთხოვნებთან. ინტერვიუებში მონაწილეობდა უნივერსიტეტის როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები. მათთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ წარმოდგენილი სტუდენტები და კურსდამთავრებულები პროგრამის შემუშავების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები, შესაბამისად მათგან მიღებული რჩევები და რეკომენდაციები პროგრამის განვითარებაში ასახულია.<br><br>სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინიცირებით მოხდა ღვინის მიკრობიოლოგიის კომპონენტის გაძლიერება,ასევე რეაკრედიტაციის ფარგლებში გაიზარდა პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაო საათების დატვირთვა . ინტერვიუების დროს გამოიკვეთა ,რომ სტუდენტებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ნებისმიერი სახის ინფორმაციის მოძიება შეუძლიათ. ელექტორონული სამეცნიერო ბაზები და ელექტრონული ბიბლიოთეკა საკმაოდ გამართულად ფუნქციონირებს.<br><br>ინტერვიუებმა ცხადჰყო ,რომ ინფორმაციის მიწოდებისა  და გაზიარების პრობლემა არ დგას ,ასევე კომუნიკაცია სტუდენეტებს, პროფესორებსა და ადმინისტრაციას შორის შეუფერხებლად მიმდინარეობს.<br><br>ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგად და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ უნივერსიტეტი თანამშრომლობს სხვადასხვა დასავლურ და აღმოსავლურ უნივერსიტეტებთან,<br><br>მევენახეობა ენოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში. სტუდენტების უმრავლესობა ჩართულნი იყვნენ აღნიშნულ პროგრამაში და ამ კუთხით, ისინი უდიდეს კმაყოფილებას გამოთქვამენ. ინტერვიუებმა  ცხადჰყო, რომ ადმინისტრაცია ცდილობს |

| |
|---|
| სტუდენტებს დახმარება გაუწიოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხების მოგვარებაში, უნივერსიტეტში მოქმედებს შიდა ელექტრონული სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს სემესტრის დასაწყისამდე, მისი მსვლელობისას და დასრულების შემდეგ თვალი ადევნოს მის აკადემიურ მოსწრებას და გაეცნოს კურსების სილაბუსებს.<br><br>პროგრამის ფარგლებში მოქმედებს პრაქტიკის კომპონენტი, რომელიც სავალდებულოა და უსდ -ს აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული სხვადასხვა კომპანიებთან და დაწესებულებებთან ,სტუდენტს თავისი სურვილის მიხედვით შეუძლიათ მათი არჩევა და პრაქტიკის განხორციელება.<br><br>სტუდენტბთან და კურსდამთავრებულებთან ინტევიუს დროს , გამოიკვეთა რომ პროგრამის გაუმჯობესების მიზნით პრაქტიკის კომპონენტის კიდევ უფრო გაძლიერებაა საჭირო.<br><br>საბოლოოდ , ინტერვიუებმა ცხადჰყო , რომ სტუდენტები და კურსდამთავრებულები გამოთქვამენ კმაყოფილებას , როგორც ზოგადი საუნივერსიტეტო სერვისების, ასევე პროგრამის განხორციელებისა და სასწავლო პროცესის მართვის მიმართულებით . |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• წარმოდგენილი დოკუმენტაცია<br>• ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები არებულ სტუდენტებთან და კურსდამტავრებულებთან<br>• უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;<br>• თვითშეფასების დოუკუმენტი<br>• სასწავლო პროგრა(სილაბუსები)<br>• საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია https://gtu/ge/Study-Dep/Forms/Forms.php<br>• სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდი http://gtu.ge<br>• საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მგისტრატურის შესახებ https://gtu.ge/Learning/debuleba_magistratura_ssaxeb.php (დანართი 4) |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>1. პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში თანამშრომლობა მეღვინეობა -მევენახეობის ფარგლებში რელევანტურ ბევრ სხვადასხვა ტიპის დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან.<br>2. პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოების საათობრივი დატვირთვის გაზრდა |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |

| |
|---|
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**[x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| **3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა** |
| მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში ვიზიტის დროს განხორციელებულ ინტერვიუბზე დაყრდნობით ჩანს, რომ მოცემული სტანდარტის კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი არის კვალიფიცური სფეროში, მათ აქვთ შესაბამისი თეორიული ცოდნა და გამოცდილება დარგში, რაც ქმნის იმის წინაპირობას, რომ მათ შესწევთ გაუწიონ ხელმძღვანელობა სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომების წერის პროცესში.<br><br>პროგრამაში ჩართული ძირითადი აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების რაოდენობის თანაფარდობა გარკვეულწილად  პრობლემას წარმოადგენს და აუცილებელია ერთ პროფესორთან მიმაგრებული სტუდენტების რაოდენობის გაზრდა.<br><br>სამაგისტრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა ხდება თავად სტუდენტების მიერ და მათ ამ კუთხით სრული თავისუფლება ეძლევათ. ასევე, სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წინაპირობა გახლავთ კოლოქვიუმისა და პროსპექტუსის გავლა, მეორე სემესტრში სტუდენტს უკვე შერჩეული აქვს თემა და იწყებს მასზე მუშაობას კოლოკვიუმის ფარგლებში , მესამე სემესტრში სტუდენტი განაგრძობს მუშაობას და სემესტრის ბოლოს იცავს პროსპექტუსს, ხოლო ბოლო მეოთხე სემესტრში ის ასრულებს მუშაობას საამაგისტრო ნაშრომზე და ემზადება ხარისხის დაცვისათვის .<br><br>ნაშრომის წერის პროცესი ორივე მხარის კონსტრუქციული თანამშრომლობით |

| |
|---|
| მიმდინარეობს, ხელმძღვანელები გარკვეული ინტენსივობით ხვდებიან სტუდენტებს (კვირაში ერთხელ) და აძლევენ უკუკავშირს და კონსულტაციას თემატიკებზე. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებისას გამოვლინდა, რომ დაწესებულებას აქვს პლაგიატის ამომცნობი სისტემა, რომელსაც ხელმძღვანელები იყენებენ ნაშრომების შემოწმებისას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>○ დანართი 2, 17<br>○ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია https://gtu/ge/Study-Dep/Forms/Forms.php<br>○ სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდი http://gtu.ge<br>○ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მგისტრატურის შესახებ https://gtu.ge/Learning/debuleba_magistratura_ssaxeb.php (დანართი 4)<br>○ ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პროფესორებთან და სტუდენტებთან |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>სამაგისტრო ნაშრომები საჭიროებს დახვეწას, არსებული ნაშრომები სასურველია გასწორდეს საერთაშორისო სამაგისტრო ნაშრომების სტილისტიკის მიხედვით და შესაბამისად დაიხვეწოს. რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომში, კვლევის მეთოდოლოგიის თანმდევ ნაწილში „შედეგები“ განცალკევებულად, უფრო ნათლად ჩამოყალიბდეს და შემდგომ, ცალკე თავად, მოხდეს მათი უფრო სიღრმისეული ინტერპრეტაცია დისკუსიის სახით მანამდე არსებული მიღწევების ფონზე და ბოლოს აქვე წარმოდგენილი იქნას დასკვნები (და საჭიროების შემთხვევაში - რეკომენდაციები).<br><br>**<u>მაგალითად თეზისის სტრუქტურის მოთხოვნებია:</u>**<br><br>https://www.hs-geisenheim.de/fileadmin/pruefungsverwaltung/Master-Studiengaenge/ViniferaEuromaster/ThesisStyleGuide1.pdf<br><br>https://www.unk.edu/academics/gradstudies/admissions/grad-files/Grad%20Files/ThesisGdlnsFinal08.pdf<br>○ უფრო მეტი პროფესორ-მასწავლების ჩართულობა სწავლების პროცესში |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |

| |
|---|
| **შეფასება**<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**[x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | | |

**4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| 4.1ადამიანური რესურსი |
|---|
| ➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;<br>➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;<br>➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;<br>➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობაა - 8. აქედან: აკადემიური პერსონალი (ამავდროულად აფილირებული) - 4 პროფესორი და მოწვეული - 4

პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც დასტურდება მათი სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობით.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა ნაწილობრივ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, ისინი არიან აფილირებულები საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან და ძირითადი დატვირთვა გააჩნიათ ამ უნივერსიტეტში; თუმცა მაგისტრანტის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები შეიძლება იყოს სტუ-ის შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ- პროფესორი, მოწვეული პროფესორი, მოწვეული ასოცირებული პროფესორი, მოწვეული ასისტენტ-პროფესორი, აგრეთვე სტუ-თან ინტეგრირებული სამეცნიერო ინსტიტუტების მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. მაგისტრანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სხვა (პარტნიორი) დაწესებულების დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე თანამშრომელი, თუ სტუ-სა და ამ დაწესებულებას შორის არსებობს გაფორმებული ხელშეკრულება (მემორანდუმი) ურთიერთთანამშრომლობის შესახებ;

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, რაც დასტურდება მისი სამეცნიერო, პრაქტიკული და პედაგოგიური მოღვაწეობით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

1. აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები;
2. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები;
3. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვები;
4. სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები;
5. ინტერვიუების შედეგები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფისათვის სასურველია, გაიზარდოს პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა;
- სასურველია მაგისტრანტის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელებად დაინიშნონ მოწვეული ასოცირებული პროფესორი, მოწვეული ასისტენტ-პროფესორი, აგრეთვე

| |
|---|
| სტუ-თან ინტეგრირებული სამეცნიერო ინსტიტუტების მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. მაგისტრანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სხვა (პარტნიორი) დაწესებულების დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე თანამშრომელი, თუ სტუ-სა და ამ დაწესებულებას შორის არსებობს გაფორმებული ხელშეკრულება (მემორანდუმი) ურთიერთთანამშრომლობის შესახებ; |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**[x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან |

| 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება |
|---|
| ➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;<br>➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების სტიმულირება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხდება შიდა რეგულაციების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს პერსონალის სამსახურში მიღების (არჩევა/დანიშვნა) გამჭვირვალე და ობიექტურ პროცედურას, აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალის პოზიციებზე კვალიფიციური კადრების მოზიდვასა და დასაქმებას. ვაკანტურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ ინფორმაცია თავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.<br><br>სტუ-ს აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებულ საკონკურსო პირობების მოთხოვნები დაბალანსებულია., გათვალისწინებულია გასაუბრება, საკვალიფიკაციო მოთხოვნების |

| |
|---|
| განსაზღვრა, განათლების დონე და სფერო, პროფესიული ცოდნა და სხვა საჭირო უნარები.<br><br>სტუ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. ამ მიზნით შექმნილია პროფესიული განვითარების ცენტრი, სადაც პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი გადის ტრენინგებს სხადასხვა მიმართულებით. ასევე შექმნილია საფაკულტეტო კომისიები, რომლებიც პერიოდულად ამოწმებენ მეცადინეობების ხარისხს, კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის შედეგებს.<br><br>პერსონალის წახალისების მიზნით სტუ-ში მოქმედებს სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემის წესი, რომელიც ამაღლებს მოტივაციას.<br><br>სტუ-ში ხელშეწყობილია და ფინანსურად უზრუნველყოფილია აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის აქტიური ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების, ვორკშოფების, ტრენინგების, გამოფენების და სხვა სამეცნიერო შემოქმედებითი ღონისძიებების ორგანიზება-მუშაობაში, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების, კვლევითი ნაშრომების და სხვა ბეჭდური მასალის გამოქვეყნებაში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>1. აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;<br>2. პერსონალის შეფასების შედეგების ანალიზი;<br>3. ინტერვიუების ანალიზი. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>სასურველია, თვითშეფასებაში აღწერილი იყოს კონკრეტული აქტივობები და მიღწევები, რომლებსაც სტუ და შესაბამისი ფაკულტეტი ახორციელებს აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული ზრდის ხელშეწყობისათვის (ამ მიზნით ჩატარებული ტრენინგები, დაფინანსებული მივლინებები, ჩატარებული კონფერენციები, გაცემული ბონუსები და სხვ). |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა |

| |
|---|
| **■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.3 მატერიალური რესურსი** |
| პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად უზრუნველყოფილია სათანადო ინფრასტრუქტურით (სასწავლო ლაბორატორიები, ლაბორატორიული აღჭურვილობა და ინვენტარი, ბიბლიოთეკა, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული კლასები, უწყვეტი ელექტროენერგია, გათბობის სისტემა, სველი წერტილები, სამედიცინო პუნქტი).<br><br>სასწავლო შენობა აღჭურვილია ლაბორატორიებით, 28 სალექციო აუდიტორიით, 8 საპროფესორო ოთახით, 3 კომპიუტერული კლასით, შეხვედრების ოთახით, ბიბლიოთეკით, ინტერნეტ რესურსებით და საკონფერენციო დარბაზით.<br><br>პროგრამის მიხედვით საწარმოო და საველე პრაქტიკას სტუდენტები გაივლიან სხვადასხვა ორგანიზაციებში და ბაზებზე, რომლებთანაც გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები.<br><br>სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად;<br><br>პროგრამის მიხედვით საწარმოო და საველე პრაქტიკას სტუდენტები გაივლიან სხვადასხვა ორგანიზაციებში და ბაზებზე, რომლებთანაც გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>1. სტუ-ს ცენტრალური და ფაკულტეტის ბიბლიოთეკა - ვიზუალური დათვალიერებით;<br>2. ფაკულტეტის ინფრასტრუქტურა - ვიზუალური დათვალიერებით;<br>3. ხელშეკრულებები საწარმოო და საველე პრაქტიკის ობიექტებთან. |
| **რეკომენდაციები:** |

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფისათვის, პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად, ასევე სამაგისტრო ნაშრომების ექსპერიმენტალური და კვლევითი კომპონენტის განსახორციელებლად ფაკულტეტს სასურველია შეიქმნას საკუთარი ბაზა.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- 2019 წელს უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა სადეგუსტაციო ოთახი, რომლის ტექნიკურ მოწყობაშიც გათვალისწინებული იქნა იტალიის და საფრანგეთის უნივერსიტეტების გამოცდილება და პრაქტიკა.

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

[redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

## 4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

დანართი 14 -ში წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს

59250 ლარს.

წარმოდგენილი დოკუმენტი იყო არასრული, არ იკითხებოდა, ბიუჯეტი რომელ პერიოდზე იყო გათვლილი, რა მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლებოდა პროგრამის მდგრადობისა და განვითარების შესაძლებლობაზე მსჯელობა.

ვიზიტის დროს მოთხოვნილ იქნა აღნიშნული დოკუმენტი. წარმოდგენილ ფაკულტეტის

| |
|---|
| ბიუჯეტში არ არის დიფერენცირებულად წარმოდგენილი სააკრედიტაციო პროგრამის ხარჯები და არ იძლევა სრულ წარმოდგენას მისი განხორციელებისა და განვითარების მდგრადი ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>1. **დანართი 14.**<br>2. **ინტერვიუს ანალიზი.** |
| **რეკომენდაციები:**<br>• სასწავლო პროგრამისთვის მომზადდეს ბიუჯეტის სრუყოფილი დოკუმენტი. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების | X | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| რესურსებით უზრუნველყოფა | | | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

### 5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სტუ-ში შიდა ხარისხის შეფასება რეგლამენტირებულია აკადემიური საბჭოს დადგენილებით და აღწერს იმ პროცედურების სისტემას, რომელთა დახმარებითაც ხორციელდება ხარისხის შიდა შეფასება.

პროგრამების შემუშავება და დამტკიცება ხორციელდება აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამების ფორმების და საგანმანათლებლო პროგრამების განხილვისა და დასამტკიცებლად წარგენის წესის მიხედვით. პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებაში მონაწილეობენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები. პროგრამაში ჩამოყალიბებული სწავლის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები შესაბამისობაშია სტუ-ს სტრატეგიასთან. პერიოდულად მოწმდება სტუდენტის რეალური დატვირთვის შესახებ ინფორმაცია და აანალიზდება , პრაქტიკების ორგანიზება და მიმდინარეობის ზედამხედველობა ხდება სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული წესის მიხედვით.

პროგრამა იყენებს თანამედროვე პედაგოგიურ მეთოდებს. მოწმდება სასწავლო კურსის პროგრამაში მითითებული კონკრეტული მეთოდებისა და აქტივობების შესაბამისობა პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან.

სტუ-ში დანერგილია სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, რომელიც ასახავს სტუდენტის ინდივიდუალურ მიღწევებს. შეფასების ვადები და კომპონენტების ხვედრითი წილი და სხვა საჭირო ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის ვებ-გვერდზე, ხელმისაწვდომია როგორც შემფასებლებისთვის, ისე სტუდენტებისთვის.

გარკვეულ საგნებში სტუდენტების ცოდნის შეფასება ხდება სტუ-ს საგამოცდო ცენტრის საშუალებით. ცალკეულ შემთხვევებში გამოცდა შესაძლოა ჩაიბაროს ერთზე მეტმა შემფასებელმა (სასწავლო კურსის პროფესორი, პრაქტიკული ნაწილის პედაგოგი ან სხვა უფლებამოსილი პირი).

სტუ-ში მოქმედებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული

| |
|---|
| სისტემა. იგივე სისტემა გამოიყენება ინფორმაციის დამუშავების და ანალიზის გზით სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის.<br><br>სასწავლო რესურსები და სტუდენტების მხარდაჭერა ფიზიკური (ბიბლიოთეკა, სასწავლო რესურსები, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა) და ადამიანური (კონსულტანტები, მრჩეველები) სერვისების არსებობით და ხელმისაწვდომობით უზრუნველყოფილია.<br><br>სასწავლო პროცესის მიმდინარე მონიტორინგისა და პროგრამების პერიოდული შეფასებისათვის სტუ-ში გამოყენებული შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმი ძირითადად სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა და დამსაქმებელთა გამოკითხვას ეყრდნობა, რისთვისაც არსებობს შესაბამისი კითხვარები.<br><br>ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის განხორციელებაში საკუთარი ჩართულობის ფარგლებში პროგრამის ხელმძღვანელი და სწავლებაში მონაწილე სხვა პირები აქტიურად თანამშრომლობენ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან, რაც განაპირობებს ხარისხის მიღწევას და შენარჩუნებას უწყვეტი ციკლის „დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“ მიხედვით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებ-გვერდი;<br>2. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“;<br>3. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება „ სტუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ“;<br>4. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული შეფასების კითხვარები;<br>5. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;<br>6. ინტერვიუების ანალიზი. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):** |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**[redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

## 5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სტუ-ში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გარე მექანიზმი ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 65/ნ ბრძანებას „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 99/ნ ბრძანებას „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“.

ინგლისურენოვანი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამას „მევენახეობა და ენოლოგია“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ 2015 წლის 15 ივლისის N63 გადაწყვეტილების საფუძველზე მიანიჭა აკრედიტაცია: 2015 წლიდან ყოველწლიურად ხორციელდება განათლების ხარისხის  განვითარების ეროვნულ ცენტრში წლიური ანგარიშის წარდგენა, რომელშიც აისახებოდა წლის განმავლობაში პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები.

სტუ-ში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გარე მექანიზმი ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 65/ნ ბრძანებას „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 99/ნ ბრძანებას „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

1. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2015 წლის 15 ივლისის N63 გადაწყვეტილება ინგლისურენოვანი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამისათვის „მევენახეობა და ენოლოგია“ აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე“

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

რადგანაც პროგრამა ინგლისურენოვანია და საერთაშორისო, სასურველია, პერიოდულად პროგრამამ გაიაროს დამოუკიდებელი უცხოელი ექსპერტის მიერ გარე შეფასება.

ასევე, სასურველია, აკრედიტაციისათვის მზადების პერიოდში მოხდეს პროგრამის SWOT ანალიზი, ობიექტურად შეფასდეს პროგრამის ძლიერი, სუსტი და გასაუმჯობესებელი მხარეები. მოხდეს გათვალისწინება ისეთი ფაქტორებისა, როგორებიცაა, ინტერნაციონალიზაცია და საერთაშორისო უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**[redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის შეფასება. ამ პროცესში ასევე ჩართულები იყვნენ : აკადემიური და მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები, დარგის სპეციალისტები. პროგრამის შეფასებისათვის დამუშავდა ინფორმაცია, გაანალიზდა, განისაზღვრა პროგრამის ძლიერი

| |
|---|
| და გასაუმჯობესებელი მხარეები. ამ მონაცემების საფუძველზე განისაზღვრა პროგრამის მოდიფიცირების საჭიროება, შეიქმნა თვითშეფასების ჯგუფი  და საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების საფაკულტეტო კომისია.<br><br>მოხდა სააკრედიტაციო პროგრამის შედარება უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში ჩართულობის მიზნით.<br><br>კომისია პერიოდულად ამოწმებდა საგანმანათლებლო პროგრამას, სასწავლო კურსების პროგრამებით გათვალისწინებულ ლაბორატორიულ აღჭურვილობას, სათანადო ლიტერატურას, ადამიანურ რესურსს და პროგრამის სხვა პარამეტრების შესაბამისობას აკრედიტაციის მოთხოვნებთან, აგრეთვე, პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების პროცესის მიმდინარეობას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>1. სტუდენტთა,პროფესორ-მასწავლებელთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები;<br><br>2. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება „პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ“; |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):** |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | | |

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: „მევენახეობა და ენოლოგია“
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 52

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | X | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | X | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | X | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე



ანა ხითარიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ოლანი გოცირიძე



სოფიო შარაბიძე